ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 27 სექტემბერი 2004 №224 (2245) ფასი 50 თეთრი


# ეს კაცი აჯანყდა

## ანდრო აბაშიძის ვაბანკი: ფედერაციის შავი ბანკი







## გაჩერებულ ფედერაციას მერაბ ჟორდანიამ ძველი ძრავა ჩაუდგა

ეროვნული ბიბლიოთეკა




ვალერი ჩოლარია: მუდამ საჭირო კაცი მერაბ ჟორდანიასთვის



ფეხბურთის ფედერაციისგან შერისხული ანდრო აბაშიძის პრესკონფერენციას ფედერაციისავე პრესმდივანი ეკა გაბაშვილიც ესწრებოდა

# დროა ასეთი, ანდროა ასეთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აწ უკვე ყოფილი გენერალური მდივანი ანდრო აბაშიძე ფედერაციისა და მისი პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას წინაალმდეგ.

დაპირისპირება ჯერ კიდევ მაისში დაიწყო, ივნისში, ფედერაციის რიგგარეშე ყრილობის შემდეგ გაგრძელდა, აგვისტოს ბოლოს გამძაფრდა, გუშინ კი კულმინაციას უწია — ფედერაციის აღმასკომმა გააუქმა გენერალური მდივნის პოსტი, შესაბამისად კი თანამდებობიდან გაათავისუფლა ანდრო აბაშიძე. ეს ამბავი ჯერ ოფიციალურად არავის დაუდასტურებია, არც აღმასკომის წევრებს, არც ფედერაციის პრეზიდენტს, არც ფედერაციის თანამშრომლებს და არც თავად ანდრო აბაშიძეს. ცოტა არ იყოს, პარადოქსული ვითარება შეიქმნა, თუმც აღმასკომის შემდეგ მერაბ ჟორდანიას მოკლე განცხადება და შემდეგ ანდრო აბაშიძის პრესკონფერენციაზე ნათქვამი საფუძველია საიმისოდ, რომ ითქვას — აბაშიძე აღმასკომმა სამსახურიდან გაათავისუფლა.

აი, სიტყვა-სიტყვით *მერაბ ჟორდანიას* გუშინდელი ნათქვამი: „დღეს მხოლოდ განცხადებით შემოვიფარგლები, პრესკონფერენციას კი უახლოეს მომავალში გავმართავ. დღეს გაიმართა ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა. მოგეხსენებათ, რომ ფედერაციაში მიმდინარეობს სტრუქტურული ცვლილებები. დავამტკიცეთ ახალი თანამდებობა — ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი-აღმასრულებელი დირექტორი. ამ პოსტზე აღმასკომმა ვალერი ჩოლარია დაამტკიცა. გმადლობთ".

მერაბ ჟორდანიას სხვა არაფერი უთქვამს და არც ჩვენ მოგვეცა კითხვის დასმის საშუალება. თუმც ყველაფერი ცხადი იყო — ყოფილი გენმდივანი ვალერი ჩოლარია ფედერაციაში ახალი სტატუსით დაბრუნდა. დაბრუნდა შვიდი თვის შემდეგ, მისივე ყოფილი მემკვიდრის ანდრო აბაშიძის ნაცვლად.

ჟორდანიას განცხადების შემდეგ ფედერაციაში ამ ამბის თაობაზე კაციშვილს სიტყვა არ დასცდენია. ერთი თავად ვალერი ჩოლარია იყო, რომელმაც თათარიახნად პრესკონფერენცია გამართა. სამაგიეროდ, ფედერაციის პრესმდივანმა ეკა გაბაშვილმა გვითხრა, ერთ-ორ საათში *ანდრო აბაშიძე* გეგმავს თქვენთან შეხვედრასო.

აბაშიძის პრესკონფერენცია უფრო ხალხმრავალი გამოდგა და კაფე „მსოფლიო სპორტში" გაიმართა.

— დღევანდელი აღმასკომი ნორმატიული აქტების დარღვევით ჩატარდა და ამ სხდომის გადაწყვეტილებები აუცილებლად გასაჩივრდება სასამართლოში. არ ვიცოდი, აღმასკომი თუ იყო მოწვეული, ჩემთვის ეს არავის უთქვამს, არადა, ფედერაციის წესდებით, აღმასკომის ყველა წევრს სხდომის დღის წესრიგი სამი დღით ადრე უნდა მიეწოდოს. თანაც აღმასკომს გადაწყვეტილების მიღება შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. დღეს კი აღმასკომზე 23 წევრიდან იყო 11. ამიტომაც ვამბობ, აღმასკომის გადაწყვეტილება აუცილებლად სასამართლოში გასაჩივრდება.

...ჩემსა და მერაბ ჟორდანიას შორის დაპირისპირება ჯერ კიდევ მაისში დაიწყო და გაგრძელდა ივნისში, რიგგარეშე ყრილობის შემდეგ, როცა როგორც გენმდივანს ფედერაციის წარმომადგენლობის უფლება ჩამომართვეს.

...30 აგვისტოს უეფადან ფედერაციაში წერილი მოვიდა. გვატყობინებდნენ, რომ უეფამ საქართველოს ყველანაირი დახმარება, ყველანაირი პროექტის დაფინანსება შეუწყვიტა. საქმე ისაა, რომ უეფას შესაბამის კომიტეტს მე ვაცნობე, ფედერაციისგან თქვენთვის მოთხოვნილი თანხა გაბერილია. მაგალითად, როცა ფედერაციის პროექტში წერია, რომ უეფას გრანტით ავაშენებთ 50 მინი-მოედანს, ფედერაცია გამოყოფილი თანხით ააშენებს 20 მინი-მოედანს. სიტყვაზე, როცა საყიდელია სამი საფერფლე, ფედერაცია იყიდის ერთს. მოკლედ, ჩემი სიტყვების შემდეგ უეფამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დახმარება შეუწყვიტა და პროგრამის აღსადგენად ახსნა-განმარტება მოითხოვა, რაზეც უნდა ყოფილიყო ჩემი და მერაბ ჟორდანიას ხელმოწერები. ჟორდანია თავის პოზიციებს არ თმობდა და უეფას პროგრამის აღსადგენად ახსნა-განმარტებასაც უგზავნიდა, თუმც მე ამის წინააღმდეგი ვიყავი, პრეზიდენტს პოზიციის შეცვლისკენ მოვუწოდებდი და არც თავად დავთმე. მიმაჩნია, რომ ფედერაცია რა გზაზეც დგას, ეს მიმართულება ქართულ ფეხბურთს ჩიხში მოაქცევს.

...ვალერი ჩოლარიას დანიშვნით რა შეიცვლება, ვერ გეტყვით, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ვიდრე სასამართლო გადაწყვეტილებას არ მიიღებს, უეფადან ფედერაციის დახმარება არ განახლდება. როცა სასამართლო შედგება, იმედი მაქვს, ავტომატურად აღდგენილი ვიქნები გენერალური მდივნის პოსტზე და დანარჩენსაც მერაბ ჟორდანიასთან მოლაპარაკების შემდეგ გავარკვევ. ანდრო აბაშიძე პოსტიდან ნებაყოფლობით არ წასულა. ვიმედოვნებ, რომ ჟორდანია ინებებს და თავის პოზიციას შეიცვლის. და საერთოდ, უნდა გადაიხედოს ფედერაციის ამჟამინდელი საქმიანობა. ჟორდანიას მიზანი ერთია, ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებიდან არჩევნებამდე უკეთესობისკენ არაფერი შეცვალოს. ჩემი მიზანია, რომ ასე არ იყოს.

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში ყველაფერი დაწვრილებით იციან და ვფიქრობ, ჩემს ბანაკში იქნება ყველა, ვისაც კი ქართული ფეხბურთის ბედი ადარდებს.

აქამდე არ მსურდა ჟორდანიასთან დაპირისპირების გახმაურება, ეს გამოიწვევდა ვითარების გამძაფრებას და საქართველოს ნაკრების თამაშებზეც იმოქმედებდა.

...ჟორდანიას რამდენჯერმე ვთხოვე ფედერაციის მიერ ფირმებთან თუ კომპანიებთან გაფორმებული კონტრაქტების ჩვენება, მაგრამ უარს მეუბნებოდა. ფედერაციაში არის ერთი სატელევიზიო კონტრაქტი, მაგრამ მისი პირობები არ სრულდება. რეალურად, არსებობს მეორე კონტრაქტიც. სულ სხვა ხელშეკრულებაა ფედერაციაში, საქმით კი სხვა კეთდება.

...სარჩელს სასამართლოში აუცილებლად შევიტან და ეს იქნებ სამოქალაქო სასამართლოში გაირჩეს, იქნებ სისხლის სამართლის საქმეც გამოდგეს.

...თუ მერაბ ჟორდანიამ ჩემთან მოლაპარაკება არ ისურვა და პოზიცია არ დათმო, არ ვიცი, რა იქნება.

ერთი სიტყვით, ანდრო აბაშიძე მერაბ ჟორდანიას ღიად დაუპირისპირდა და იმედი აქვს, სასამართლოს ძალით გაიმარჯვებს, თუმც ფედერაციის საქმიანობაში სასამართლოს ჩარევის რამდენიმე პრეცედენტი ჩვენში უკვე ყოფილა და მოგებული ყოველთვის ფედერაცია გამოსულა. რა იქნება ამჯერად, ვერ გეტყვით.

ამას კი გეტყვით: მერაბ ჟორდანია სტოკჰოლმიდან, უეფას კონგრესიდან ხუთშაბათს დაბრუნდა და იმ დღესვე ფედერაციის აღმასკომის მოწვევა გადაწყვიტა. აღმასკომი ვერც იმ დღეს, ვერც პარასკევს და ვერც შაბათს ვერ შეიკრიბა. შეიკრიბა გუშინ და გუშინვე უეფას კონგრესიდან დაბრუნებულმა მერაბ ჟორდანიამ აღმასკომს თავისი გადაწყვეტილება გააცნო. აღმასკომს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა — ვალერი ჩოლარია ფედერაციაში დააბრუნა, თანაც უწინდელთან შედარებით ერთიორად გაფართოებული უფლებებით. ხვალ კი ჩოლარია სწორედ უეფაში მიემგზავრება და სწორედ ის საბუთები მიაქვს, რის საფუძველზეც უეფა ფედერაციას უნდა დახმარებოდა. ჩოლარია ეცდება, დახმარების პროგრამა, რომელიც დაახლოებით 3 500 000 შვეიცარიული ფრანკის გრანტს ითვალისწინებს, მალევე აღადგინოს. ახსნაგანმარტებით ბარათზე კი აბაშიძის ნაცვლად ალბათ მალე და უპრობლემოდ ჩოლარიასა და ჟორდანიას ხელმოწერები გაჩნდება. თუმც ვნახოთ, რა როგორ მოხდება.

ახლა კი *ვალერი ჩოლარიას* ნათქვამი. შეგახსენებთ, ფედერაციის ძველ-ახალმა გავლენიანმა ჩინოვნიკმა პრესკონფერენცია ანდრო აბაშიძის ჟურნალისტებთან შეხვედრამდე გამართა.

— ფედერაციაში დაბრუნების კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ მას შემდეგ, რაც მერაბ ჟორდანია სტოკჰოლმიდან ჩამოვიდა, ვნახე უეფას წერილი, ფედერაციას ყველანაირი დახმარება შეუწყდაო, თბილისში შევხვდი უეფას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარების პროგრამის კურატორს, ბატონ ვალერი ჩუხრის და გადაწყვეტილება შევცვალე. მხოლოდ და მხოლოდ ქართული ფეხბურთის ინტერესებიდან გამომდინარე დავბრუნდი ფედერაციაში.

...ახლა არ არის დაპირისპირების დრო. ქართულ ფეხბურთს, საქართველოს ნაკრებს პერსპექტივა გაუჩნდა, ურთიერთწყენა ყველამ უნდა დაივიწყოს და საერთო საქმე აკეთოს.

...დღესდღეობით შეჩერებულია ყველა პროგრამა, რითაც ფიფა-უეფა საქართველოს ეხმარება. საქართველოსთვის შეჩერებულია პროგრამა „ჰეთ-თრიქი", „გოლი", „გოლი 2". რატომ შეჩერდა დახმარება, არ ვიცი. ის ვიცი, რომ სამშაბათს შვეიცარიაში მივფრინავ და ფიფა-უეფას წარმომადგენლებს შევხვდები. ხუთ ოქტომბერს ჩამოვალ და შედეგებზე მერე ვილაპარაკოთ.

...ყველაფერს გავაკეთებ იმ პროგრამების აღსადგენად, რომელთა საშუალებითაც საქართველო მნიშვნელოვან დახმარებას იღებდა. მუშაობას განაახლებს მსაჯთა აკადემია, აღდგება მწვრთნელთა ლიცენზირების კურსები, საბოლოოდ მოწესრიგდება საქართველოს ნაკრების საწვრთნელი ბაზა, რეგიონულ ფედერაციებს ოფისების აშენებაში დავეხმარებით, მოვაწყობთ მინი-მოედნებს და კიდევ ბევრ საქმეს მივხედავთ. ეს ყველაფერი ადრე ფიფა-უეფას დახმარებით კეთდებოდა.

...როგორც ვიცი, დღევანდელმა აღმასკომმა საერთოდ გააუქმა ვიცე-პრეზიდენტებისა და გენერალური მდივნის თანამდებობები და სანაცვლოდ ერთი დაამტკიცა — პირველი ვიცე-პრეზიდენტი-აღმასრულებელი მდივანი. ესაა სწორედ ჩემი ახალი თანამდებობა, რაც უფლებას მაძლევს, პრეზიდენტის არყოფნისას გადაწყვეტილებები ერთპიროვნულად მივიღო. ცხადია, აღმასკომის კომპეტენციაში ჩაურევლად.

...ორ თვეში სტრუქტურულ-საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით. თუმც ერთს ახლავე გეტყვით, ფედერაციის შტატი გაბერილია და ბევრს შემცირება შეეხება.

ბოლოს კი, როგორია კულტურისა და სპორტის სამინისტროს პოზიცია ფედერაციაში ამ სკანდალის თაობაზე...

მინისტრის მოადგილე *გუგა სულხანიშვილმა* გვითხრა:

— სპორტის სამინისტრო ფეხბურთის ფედერაციის საშინაო საქმეში, რა თქმა უნდა, ვერ ჩაერევა, თუმც მიგვაჩნია, რომ აღმასკომის დღევანდელი გადაწყვეტილება ქართულ ფეხბურთში ბოლო დროს გაჩენილ სასიკეთო ტენდენციებს ეწინააღმდეგება და უკან გადადგმული ნაბიჯია. ჩვენ პიროვნული პრეტენზიები არავის მიმართ არ გვაქვს, მაგრამ აღმასკომის გადაწყვეტილებას ვერ მივესალმებით. მერაბ ჟორდანიას კი, ალბათ, მეტი დაფიქრება მართებს და ქვეყანაში მიმდინარე ბოლოდროინდელ ცვლილებებთან უფრო ფაქიზი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს.

სპორტის სამინისტროს ტაქტიანი პოზიცია ამ განცხადებით აშკარად ჩანს.

დაველოდოთ, ვნახოთ, რა მოხდება. დენთის სუნი ნელ-ნელა მძაფრდება.

**ჭოგა ინასარიძე**

**პორტუგალია**

სუპერლიგა. IV ტური

**რიუ ავე 0:0 სპორტინგი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი 16 ლიგა — 8 ტური

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

თბილისი. 25 სექტემბერი. 19 საათი. ეროვნული. 900 (ტევადობა 70 600)

## დინამო 3:0 დილა

1:0 ნემსაძე (45), 2:0 კაკალაძე (77), 3:0 გრიგალაშვილი (87)

| | |
|---|---|
| დინამო: მამალაძე, შაშიაშვილი, გიგაური, ჭიჭვეიშვილი, კანდელაკი, გრიგალაშვილი, ნემსაძე, კაშია (კაკალაძე 46), რომერო, ლ. ახალაია (დვალი 74), გონჩაროვი (მელქაძე 60) *სათადარიგონი:* თოთლაძე; სალუქვაძე, კანკავა. მწვრთნელი: გია გეგუჩაძე | დილა: სომხიშვილი, მგელაძე, ქარქუზაშვილი (მძინარიშვილი 71), ჩაჩუა, ბალაშვილი, ხანიშვილი, რაზმაძე, ხატიაშვილი (ფოფხაძე 46), სულთანიშვილი (კურტანიძე 72), შატაკიშვილი, წუწუნავა *სათადარიგონი:* ილურიძე; სამადაშვილი, დ. ნადირაძე, გაბელაია. მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი |

გაფრთხილება: მგელაძე (31), ბალაშვილი (64), კაკალაძე (70)

გაძევება: რაზმაძე (64)

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), ი. აფციაური (დუშეთი); ა. ორდენიძე (ონი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

# გორელების აგურს ბევრი ნახვრეტი აქვს

კობა ინასარიძე

მთავარი თავშივე ვთქვათ და მერე იმაზე, „დილას" მწვრთნელმა ზურაბ ხორგუაშვილმა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე, ჩემი აზრით, უსაფუძვლოდ რომ ილაპარაკა.

მაშ ასე, „დინამომ", რომელსაც ხუთშაბათს უეფას თასზე უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის, „დილას" ნახევარი და იქნებ ნაკლები ძალითაც აჯობა. მასპინძლებმა ის ითამაშეს, არც მეტი, არც ნაკლები, მოსაგებად რომ იკმარებდა. იყო დროის ისეთი მონაკვეთიც, როცა „დინამომ" მარწუხებს მოუჭირა და გორელები 5-10 წუთი თავის ნახევარს არ გააკარა.



გიორგი სომხიშვილმა ბურთს სამჯერ გააყოლა უიმედო თვალი

აი, ასეთი მატჩის შემდეგ ზურაბ ხორგუაშვილი ამბობს, თბილისელებს მსაჯმა შილაკაძემ მოაგებინა, ის თავში აგურის ჩამრტყმელი ავისმზრახველივით ჩაგვისაფრდა და მატჩიც, ფაქტობრივად, 25 წუთით ადრე დაამთავრაო.

მატჩის 25 წუთით ადრე დამთავრებაში ხორგუაშვილი იმას გულისხმობდა, რომ შილაკაძემ გორელ რაზმაძეს მოედანი 64-ე წუთზე დაატოვებინა, მაშინ, როცა ანგარიში „დინამოსი" იყო.

რას ფიქრობდა „დილას" თავკაცი მაშინ, როცა ამბობდა, „დინამოს" მსაჯმა მოაგებინაო, ვერ გეტყვით. ვერ გეტყვით, რადგან ამ კითხვაზე თავადაც გაუჭირდა პასუხის გაცემა და რამდენჯერმე გაიმეორა, სტატისტიკას გადახედეთო. რომელ, რა სტატისტიკას უნდა გადავხედოთ, უკაცრავად და, ვერც ეს გავიგეთ. ალბათ „დილას" ის მატჩები უნდა გავიხსენოთ, რომლებიც შილაკაძემ იმსაჯა.

კომპეტენტურ თვალს არ გამოეპარება ის, რასაც მთელი თამაშისას შილაკაძე „დილას" საწინააღმდეგოდ სჩადიოდაო, თქვა ხორგუაშვილმა და დაამატა, დღეის იქით შილაკაძე თუ იმსაჯებს „დილას" მატჩებს, ჩვენ პროტესტის ნიშნად არ ვითამაშებთო.

არადა, „დინამომ", როგორც ვთქვით, ნახევარი ძალით მოიგო. კი, იყო ეპიზოდები, როცა „დილას" გატანა შეეძლო. ნაღდი საგოლე მომენტები გააცუდეს სულთანიშვილმა, შატაკიშვილმა და წუწუნავამ. თანაც, 0:0-ზე. გორელები სარგებლობდნენ მასპინძელი მცველების შეცდომებით და ერთ-ერთი ფორვარდი მეკარე მამალაძესთან პირისპირ რჩებოდა. რჩებოდა, მაგრამ გასატანს გატანა ხომ უნდოდა...

მერე „დინამომ" გამოიღო ხელი და „დილა" დასაჯა. რომეროს პასი კაპიტანმა ნემსაძემ შეირგო და ცაციათი ტყვიასავით დაარტყა, რასაც სომხიშვილმა ვერაფერი მოუხერხა. 1:0 და პირველი ტაიმიც იქვე დამთავრდა.

შესვენების შემდეგ კი, ვიდრე ანგარიში გაიზრდებოდა, „დილა" მასპინძელთა კარს არც მიახლოვებია. სომხიშვილმა რამდენიმე ძნელი ბურთი მოიგერია. შემდეგ შილაკაძემ რაზმაძე გააძევა და „დინამოსაც" შეტევისთვის ხელფეხი უფრო გაეხსნა.

კაკალაძემ გრიგალაშვილს დაუფასა პასი და კარის წინ მარტოდ დარჩენილმა გაიტანა, ათ წუთში კი უკვე თავად გრიგალაშვილმა იხეირა. მას გორელმა მცველებმა გაუთამაშეს კედელი, მასპინძელი სომხიშვილთან პირისპირ დატოვეს და ანგარიშიც გასამდა.

*გია გეგუჩაძე:* „ვისლასთან" საპასუხო მატჩამდე ვცდილობთ, მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგი მივიღოთ. ძალების დაზოგვა, რა თქმა უნდა, გუნდის თამაშზეც აისახება და ისე შთამბეჭდავად ვერ გამოვიყურებით, როგორც ქომაგს სურს.



ახალგამოჯანმრთელებულ რომეროს გორელებისგან ყბაშიც მოხვდა

## ხვეტი

# ორლობის დასამარცხებლად

თბილისის „დინამო" მიუახლოვდა იმ თამაშს, რომელიც გზას უხსნის მას ევროპის საშემოდგომო ფეხბურთისკენ. გაუხსნის, თუკი „დინამო" ათას რამეს აჯობებს და გადალახავს კრაკოვულ საზღვარს, რაც ერთი შეხედვით შესაძლებელია, მეორე შეხედვით კი ძნელი.

პატიოსნად რომ ვიკითხოთ, რა იქნება „დინამოს" მთავარი მტერი ამ თამაშში?

რა თქმა უნდა, „ვისლას" არ ვგულისხმობ, ეს თავისთავად, რადგან ფეხბურთში მეტოქის გარდა არსებობს სხვა ათასი მტერიც. ასე ვთქვათ, შიდა, უხილავი, გულსა და გონებაში მობოგინე მტრები.

მაინცდამაინც შორს არ წავიდეთ და აგერ, წინა კვირაში ორჯერ ნანახი მადრიდის „რეალი" გავიხსენოთ. შიგანის ათასგვარი მტრები წამოსევიან ამ ელ გალაქტიკოს და ხრავენ, როგორც რომ... მაშ, მე ასე მგონია, რომ თბილისის „დინამოს" მთავარი მტერი მოახლოებულ თამაშში იქნება ბოლო 10-12 წელიწადი ქართული ფეხბურთისა, რომელიც ახლა ჯერაც ჭიდილშია ამავე ქართული ფეხბურთის იმ ძალასთან, რომელიც ახლა ცდილობს გამოიღვიძოს და დაამარცხოს ის ძველი ურჩხულობა, ქართული ფეხბურთი რომ ორლობის თამაშად აქცია.

ეს სულ უხილავი ჭიდილია, ოღონდ კი მაინც მიმდინარეობს. ორლობის დროის ქართული ფეხბურთი კვლავაც ბორგავს და თავის სასაცილო ილეთებს აჩვენებს, თუმცა მისი შევიწროება დაწყებულია. ამ თამაშის მთავარი გამოხატულება, ზერელობასთან ერთად, არის სამოყვარულო სული, რომელიც სრულიად და საბოლოოდ უნდა განადგურდეს, თორემ საშემოდგომო თამაშების ზღურბლთან ეგება ხშირადაც მოვხვდეთ, მაგრამ ჩვენი სამოყვარულო განწყობა იმ კარს არ შეგვაღებინებს.

აი, ეს ძალა უნდა დაამარცხოს თბილისის „დინამომ" თავის ჯერაც ტრიბუნებმოფარღალალებულ სტადიონზე, რომელიც, სხვათა შორის და, არის სწორედ სიმბოლო ორლობეობისა, იმ დროს, როცა გახლდათ სიმბოლო სიდიადისა და ნამდვილი ფეხბურთის უკვდავებისა დიდუბეში, თბილისის უძველეს საფეხბურთო ადგილას.

ჰოდა, ამიტომაც მგონია, რომ კარგი იქნება „ვისლას" დამარცხება, რადგან იმავდროულად ერთი-ორი გვარიანი ჭრილობა მიადგება ორლობის ფეხბურთს. განა „დინამოს" არ გაუჭირდება ჯგუფში, თუ იქ მოხვდება? კი, მაგრამ სწორედ ამ გაჭირვებისკენ მივილტვით, რათა მეორედ და მესამედ უკეთ ვიცოდეთ, რა არის გაჭირვება და როგორ ვძლიოთ მას.

## უეფას თასი 2004-2005

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

თბილისი. 30 სექტემბერი. 19 საათი. ეროვნული

## დინამო — ვისლა

# ვისლას 7:1 და ტყუილები

30 სექტემბრამდე ბევრიც არ რჩება და თბილისის „დინამოს" ისტორიული მატჩი უწევს კრაკოვის „ვისლასთან". ალბათ შეხსენებაც არ გჭირდებათ, რომ თუ „დინამომ" 1:0 მაინც სძლია მეტოქეს, უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებს, რაც დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთისთვის აქამდე წარმოუდგენელი იყო.

ამ მატჩამდე კი „ვისლამ" პოლონეთის ჩემპიონატში ითამაშა და სათბილისოდ მშვენიერი განწყობაც შეიქმნა — კრაკოველებმა სტუმრად 7:1 გააცამტვერეს „ზაგლებიე".

ჟურავსკი (2-ჯერ), ზინჩუკი (2), ფრანკოვსკი, გორავსკი, კუჟბა — კრაკოველთაგან ვისაც არ დაეზარა, მეტოქეს ყველამ გაუტანა. „ვისლა", ცხადია, პირველ ადგილზეა პოლონეთის ჩემპიონატში და კონკურენტებს ახლოსაც არ იკარებს.

ჩვენთვის კი ამ მატჩში სხვაც იყო საინტერესო. როგორც ჩანს, პოლონელების პოლიტიკაა, წინასწარ გამოაცხადონ ამა თუ იმ ფეხბურთელის ტრავმა და იწუწუნონ, ამათ გარეშე მომავალ მატჩში რა გვეშველებაო.

ყოველ შემთხვევაში, სამიოდ დღის წინ პოლონელი ჟურნალისტები წარბშეუხრელად ირწმუნებოდნენ, ჟურავსკი, ფრანკოვსკი, სტოლარჩიკი და კლოსი ისე დაშავდნენ, ძნელი სათქმელია, თბილისში წამოვლენ თუ არაო.

რეალობა კი სხვაგვარია — „ზაგლებიესთან" ოთხივემ ძირითადში ითამაშა.

აქვე „ვისლას" საამმატჩო შემადგენლობას გაგაცნობთ: *მაიდანი, ბაშჩინსკი, კლოსი, გლოვაცკი, სტოლარჩიკი, გორავსკი (კვიკი 77), შიმკოვიაკი (კუკიელკა 69), კანტორო, ზინჩუკი, ფრანკოვსკი, ჟურავსკი (კუჟბა 69).*

ბაჩა შალამბერიძე



მაცეი ჟურავსკი



# ზაურ სვანაძე გოგობერიშვილისგან ამას არ მოელოდა

თბილისი. 25 სექტემბერი. 16 საათი. ლოკომოტივი. 400 (ტევადობა 26 500)

## ლოკომოტივი 3:1 თბილისი

| | |
|---|---|
| 0:1 მიქაძე (15), 1:1 სიჭინავა (55), 2:1, 3:1 ბობოხიძე (84, 86პ) | |
| ლოკომოტივი: გვარამაძე, რ. ონიანი, გ. ონიანი, მახვილაძე, ბაქრაძე, გოგობერიშვილი (გაგუა 90), სიჭინავა, ქებაძე, სანიკიძე (სირბილაძე 46), ლაცაბიძე (ლ. ჩხაიძე 46), ბობოხიძე. *სათადარიგონი:* ბათიაშვილი; გ. ახალაია, სოსელია, მედოევი. მწვრთნელი: ზაურ სვანაძე | თბილისი: შეყრილაძე, ქემოკლიძე, ორბელაძე, გ. კვარაცხელია, დ. ოდიკაძე, გოგუა, აფციაური (ფიფია 80), მიკუჩაძე (ჯიქია 86), გენაძე, იაშვილი (ხოჯავა 54), მიქაძე. *სათადარიგონი:* დევაძე; მესხი, მიქიაშვილი. მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი |
| გაფრთხილება: მახვილაძე (63), ხოჯავა (70), ქებაძე (75), გ. ონიანი (78), გოგობერიშვილი (90) | |
| გაძევება: ოდიკაძე (87) | |
| მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. მეშკოვი (თბილისი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია | |

**დავით თავართქილაძე**

დაცვით განთქმულმა „ლოკომოტივმა" შეტევა აირჩია და გოლიც გაუშვა. გიორგი მიქაძემ ოცდახუთიოდე მეტრიდან ისე დაარტყა, რომ ბურთმა მიუხვ-მოუხვია, დავით გვარამაძე დააბნია და „ლოკომოტივის" კარში შევარდა.

არადა, გოლამდე „ლოკომოტივი" მეტოქეზე მეტს უტევდა, ბურთსაც უკეთ აგორებდა მოედნის ცენტრში, მაგრამ თავდასხმაში მიხეილ ბობოხიძე თითქოს მარტო იყო. სხვა ლოკომოტიველებიც ცდილობდნენ, ფორვარდივით ეთამაშათ, მაგრამ ეს არ გამოსდიოდათ. ალბათ ამიტომაც იყო, რომ პირველ ტაიმში მასპინძლებმა გოლი ვერ გაიტანეს, თორემ მწვავე იერიშები არ დაუკლიათ.

„თბილისი" სისწრაფის ხარჯზე ცდილობდა მეტოქის ჯობნას, მაგრამ ეს რიგიანად არ გამოსდიოდა. ბევრი მაღალი ბურთიც გაფრინდა სანდრო იაშვილისკენ, მაგრამ თუ ეს ფორვარდი საჰაერო ბრძოლას მოიგებდა, ბურთს მეტწილად ლოკომოტიველები ეუფლებოდნენ.

ზაურ სვანაძის გუნდს ძალიან წაადგა თენგიზ სიჭინავას და ალეკო გოგობერიშვილის გამოცდილება, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზას ეტყობოდა, რომ მხოლოდ ბობოხიძე საკმარისი არ იყო.



ალეკო გოგობერიშვილი და გივი კვარაცხელია: წალაპარაკება

შესვენების შემდეგ სვანაძემ შეცვლებს და ტაქტიკურ გადაადგილებებს მიმართა და ამან გაუმართლა კიდეც — „ლოკომოტივმა" მალევე გაათანაბრა ანგარიში — გოგობერიშვილის დარტყმულს გივი კვარაცხელია გადაეღობა და ბურთი ისე ძლიერად მოხვდა მუცელში, რომ ჩაიკეცა, გადმოვარდნილ ბურთს კი სიჭინავამ დაჰკრა ოცდაათიოდე მეტრიდან — ბექა შეყრილაძე დარტყმის მომენტს კარგად ვერ ხედავდა, ნახტომი დააგვიანა და 1:1.

სტუმრები უილაჯოდ როდი თამაშობდნენ მეორე ტაიმში, მაგრამ სიმძლავრე და კონცენტრაცია აკლდათ, ტრავმირებული იაშვილიც შესაცვლელი შეიქნა. „ლოკომოტივმა" კი თამაში გაშალა, მეტოქეს სისწრაფეშიც აჯობა და მობილურობაშიც. კარგად ჩაერთო თამაშში ლაშა ჩხაიძე, ხოლო გოგობერიშვილმა შეუპოვრობა და ნაყოფიერი გარჯა გვიჩვენა, ერთობ გააქტიურდა ბობოხიძეც — „ლოკომოტივი" მეტოქეზე უკეთ რომ თამაშობდა, უკვე აშკარა იყო.

... ბობოხიძემ ორ მცველ შორის მოიგდო ბურთი, ლამაზად გააცურა ისინი, შეყრილაძისკენ მიტრიალდა და შორეულ კუთხეში გაუტანა.

„ლოკომოტივს" თითქოს ფრთები შეესხა და ერთიც შეაგდო — გოგობერიშვილი კვარაცხელიამ წააქცია, ხოლო პენალტი ბობოხიძემ შეასრულა უნაკლოდ.

ამის შემდეგ იყო დავით ოდიკაძის გაძევება მსაჯთან შელაპარაკებისთვის, გოგობერიშვილ-კვარაცხელიას კინკალობა და გაშველება, თუმც სერიოზულ ექსცესებამდე საქმე არ მისულა.

*გიორგი დევდარიანი:* კლუბის ხელმძღვანელობას უნდა შევხვდე და გადამჭრელ ზომებს უნდა მივმართოთ — არ უნდა დავუშვათ, რომ ჩვენი გუნდი უდისციპლინოთა შორის მოწინავე იყოს. დისციპლინაში მხოლოდ მოედანზე ქცევას არ ვგულისხმობ, დღეს სათამაშო დისციპლინის მხრივაც ძალიან ცუდად გვქონდა საქმე — ფეხბურთელთა თვითნებობა დაუშვებელია.

*ზაურ სვანაძე:* ჩემი გუნდიდან ვინმეს გამორჩევა არ მიყვარს ხოლმე, მაგრამ გოგობერიშვილი მაინც უნდა გამოვყო — ხანგრძლივი უთამაშებლობის შემდეგ ასე თავდადებით თუ ითამაშებდა, არ მეგონა, მის სასტარტოში დაყენებასაც კი არ ვაპირებდი, მაგრამ დავაყენეთ და გაგვიმართლა. ლაპარაკიც არ უნდა იმას, რომ ბობოხიძემ ჩინებულად ითამაშა, მაგრამ გოგობერიშვილი მაინც უნდა გამოვარჩიო.



რონ ონიანის აკრობატიკა

### საუკეთესო

### *ალეკო გოგობერიშვილი*



*მიხეილ ბობოხიძე თუ ალეკო გოგობერიშვილი? ასარჩევი ორი იყო, მაგრამ რადგან გოგობერიშვილი ჯერაც არაა საუკეთესო ფორმაში და მაინც ძლიერად ითამაშა, მატჩის ნომერ პირველ კაცად ის მივიჩნიეთ.*

*„ლოკომოტივის" დამრიგებელმაც საგანგებოდ ილაპარაკა ნამატჩევს გოგობერიშვილზე და საერთოდ, თუ ძველ სიბრძნეს ვერწმუნებით, თამაშს იგებს ის გუნდი, ვისაც უკეთესი ნახევარდაცვა ჰყავს. გოგობერიშვილი სწორედ ნახევარმცველი გახლავთ და „თბილისთან" შუა ხაზში ძალიან ნაყოფიერად ირჯებოდა.*

# ახლო კუთხეში გოლიც ახლოა

ზესტაფონი. 25 სექტემბერი. 16 საათი. ცენტრალური. 2 000 (ტევადობა 8 000)

## ზესტაფონი 1:0 სიონი

| | |
|---|---|
| 1:0 ჯაფარიძე (73) | |
| ზესტაფონი: ცინაძე, გვარუციძე, სიდამონიძე, რაქვიაშვილი, ძამსაშვილი, სულაკაძე (ნუდნი 74), მელიქია (ჯაფარიძე 46), გ. თურმანიძე, შავგულიძე, ვ. ქუთათელაძე, ქურციკიძე (დ. ჯანაშია 89). *სათადარიგონი:* მერკვილიშვილი; ჩილვინაძე, შუკაკიძე, კვერნაძე. მწვრთნელი: ზაზა გურიელიძე | სიონი: ასლანაძე, კობაური, ცქვიტაია, გ. კილასონია, ბ. შელია, გ. დოლიძე (ზაზაშვილი 74), ფეიქრიშვილი, დ. არჩვაძე (რუსია 74), ნ. ლაბაძე, დ. გოგოლაძე, ჩოხელი. *სათადარიგონი:* ბობლიაშვილი; ოქროპირიძე, ვ. უგრეხელიძე, კორსანტია, ექიზაშვილი. მწვრთნელი: ვარლამ კილასონია |
| გაფრთხილება: ძამსაშვილი (35), ლაბაძე (44), სიდამონიძე (53), არჩვაძე (62) | |
| მსაჯები: გ. ასკაროლლი (ქარელი); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ზ. ანიაშვილი (გორი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ბარქაია; დირექტორი: გ. სორდია | |

**გოჩა ჯანაშია ზესტაფონიდან**

იღბლიანი გამოუვიდა რედებიუტი „ზესტაფონში" დაბრუნებულ ზაზა გურიელიძეს. მისი თაოსნობით იმერლებმა სეზონში მეორედ გაიმარჯვეს, თანაც უშუალო კონკურენტთან. მართალია, თამაშის ხარისხი დიდი ვერაფერი, მაგრამ ახლა მთავარი მაინც შედეგი იყო.

გურიელიძე ჯერ კიდევ მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლად ითვლება და კლუბის მესვეურები მისგან სწორედ შედეგს ითხოვენ უპირველესად. ჰოდა, დიდი შანსია, ამ სამი ქულის შემდეგ „ზიპო" ამ პოსტზე დატოვონ. ყოველ შემთხვევაში, საამისოდ მან პირველი გამოცდა წარმატებით ჩააბარა.

შეხვედრა, როგორც უკვე მოგახსენეთ, დიდი ვერაფერი საცქერი გამოდგა. განსაკუთრებით პირველი ტაიმი, რომელშიც ისეთი დუნე, უინტერესო ბურთაობა გაიწელა, ცოტა უძინარი რომ ყოფილიყავი, უეჭველი ჩაგეძინებოდა. შესვენების შემდეგ თამაში შედარებით გამოცოცხლდა და ეს უფრო სტუმართა წყალობით. კონტრჩხვლეტებზე აქცენტალებულმა ბოლნისელებმა პირველი გამაფრთხილებელი ნიშანი 53-ე წუთზე მისცეს მეტოქეს, როცა არჩვაძის შორეულ პასს გოგოლაძე დაუხვდა კარგად და სიდამონიძეს რომ არ ეუხეშა საჯარიმოს რკალთან და მოიერიშე ისე არ შეეჩერებინა, არავინ იცის, რა მოხდებოდა. ჯარიმის დარტყმა იმავ გოგოლაძემ გადაწყვიტა, თუმც ცოცხალ კედელს აცილებული ბურთი კარსაც აცილა.

ამ ეპიზოდმა მასპინძლები ოდნავ გამოაფხიზლა, რამაც მათ მცირედი სათამაშო უპირატესობაც მოაპოვებინა. უპირატესობა უპირატესობად, მაგრამ რეალური ხიფათის შექმნა მაინც უჭირდათ. გურიელიძის მიერ შეტევაში, ჩვეულ პოზიციაზე გამწესებულ ქუთათელაძეს სისხარტე აკლდა, მის მეწყვილე ქურციკიძეს კი მონდომებას ვერ დავუკარგავთ, მაგრამ ტექნიკურ წუნს უთუოდ შეამჩნევდით.

და მიანც, სწორედ ქურციკიძის მონდომებას მოჰყვა მატჩის ერთადერთი გოლი. მოედნის შუაგულში „ზესტაფონმა" ჯარიმა მოინადირა. შავგულიძემ საჯარიმოში ჩაჰკიდა ბურთი, რომელიც ქურციკიძისა და კობაურის საჰაერო ორთაბრძოლის შემდეგ ჯაფარიძეს მიუვიდა. თემურს წამითაც არ დაუყოვნებია, ისე დაჰკრა მარჯვენა და შვიდიოდ მეტრიდან ახლო კუთხის კარის ბადე ლამის გახია. „სიონი" თამაშის გადარჩენას შეეცადა. ვარლამ კილასონიამ თავისი ძმა, გიორგი წინ გადასწია. გამოცდილი რუსიაც ჩართო თამაშში და მასპინძელთა კართან ხიფათმაც იმატა. თავგანწირვით მოთამაშე იმერელ მცველებს და მეკარეს საქმე კი მიეძალათ, მაგრამ არ შემდრკალან. სიტუაციის საბოლოოდ განმუხტვა მატჩის დასრულებამდე ხუთიოდ წუთით ადრე იმავ ქურციკიძეს მართებდა. იგი შავგულიძის გადაცემას ბოლომდე მიჰყვა, წინ გამოსულ გაცილებით ტანმაღალ ასლანაძეს თავითაც აჯობა და თითქოს ხელს რომ არავინ უშლიდა, მაშინ იჩქარა — ბურთი ცარიელ კარს გადააშორა.

ბოლნისელებმა ბოლოს შტურმისმაგვარი კი მოაწყვეს, მაგრამ აქედან ვერაფერი იხეირეს. შეტევები ქაოტური იყო და მათი თავგამოდება უკვე ნაგვიანევი ჩანდა. პრესკონფერენციაზე ვარლამ კილასონიამ თქვა, ჩემს გუნდს ასე ცუდად ჯერ არ უთამაშიაო და არ შეიძლება, მას არ დაეთანხმო.

ქუთაისი. 25 სექტემბერი. 16 საათი. ტორპედო. 3 000 (ტევადობა 20 000)

## ტორპედო 1:1 ვიტ ჯორჯია

1:0 გამეზარდაშვილი (18), 1:1 ე. მერებაშვილი (84)

| | |
|---|---|
| ტორპედო: სტურუა, რევაზიშვილი, ებრალიძე, ს. თოდუა, გამეზარდაშვილი, ნერგაძე, ბაბუნაშვილი, ბოლქვაძე, კოშკაძე, გ. ჩხეტიანი (მუმლაძე 74), მეგრელაძე. *სათადარიგონი:* გ. გაბელია; ლალაძე, დარსაძე, მემარნიშვილი, ადუაშვილი, ლ. მერებაშვილი. მწვრთნელი: ოთარ გაბელია | ვიტ ჯორჯია: მერლანი, ვ. გოჩაშვილი, კვახაძე, ინწკირველი, იმედაშვილი, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, გველესიანი, ქოქიაშვილი (ე. მერებაშვილი 46; ლ. კვარაცხელია 90), ადამია (სახოკია 80), მარცვალაძე. *სათადარიგონი:* ბედიაშვილი; ლომაია, კუპრეიშვილი, გ. დათუნაიშვილი. მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე |

გაფრთხილება: კვახაძე (19), გამეზარდაშვილი (43), ჩხეტიანი (48)

გაძევება: მარცვალაძე (38)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); ლ. სილაგავა (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. ქელიძე; დირექტორი: ს. კოტრიკაძე

# ხანდახან ცხრილშიც ჩაიხედეთ

**გია ამირანაშვილი** ქუთაისიდან

საქართველოს ჩემპიონისა და ჩემპიონატის ლიდერის მატჩი ტურის მთავარ თამაშად მიიჩნეოდა და საერთოდაც, ამ გუნდების შეხვედრები ყოველთვის უკომპრომისო ორთაბრძოლით გამოირჩეოდა. ხშირად თამაშის ბედი ბოლო წუთებზე გადაწყვეტილა და ასე მოხდა ამჯერადაც. „ტორპედო" ახლოს იყო მორიგ გამარჯვებასთან, თანაც მეტოქე თითქმის ერთი საათი კაცნაკლული თამაშობდა, მაგრამ ვეტერინარებმა, რომლებმაც ბოლო სამ შეხვედრაში მხოლოდ ქულა აიღეს, შეძლეს და ქუთაისიდან ქულა გაიყოლეს.

მატჩი ცოცხლად დაიწყო და პირველივე წუთებზე ორივე კართან შეიქმნა ხიფათი. ჯერ მარცვალაძემ დაასწრო მცველებს და კარგადაც დაარტყა, მაგრამ სტურუამ აუღო. შემდეგ მასპინძლები გააქტიურდნენ და მეგრელაძეს ორჯერ შეეძლო თავის გამოჩენა: ერთხელ უხიეროდ დაარტყა, მერე კი მერლანმა ივარგა. ვიტელები მცირე უპირატესობას კი ფლობდნენ, ოღონდ რეალური საგოლე მომენტის შექმნა უჭირდათ. მასპინძლები ტრადიციულად დაცვიდან თამაშობდნენ და სწრაფი კონტრშეტევებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. მე-15 წუთზე კოშკაძე-თოდუა-მეგრელაძის სამსვლიანი ქუთაისელთა მთავარმეგოლის თავურითა და ძელით დასრულდა. მე-18 წუთზე კი „ტორპედო" დაწინაურდა. ბოლქვაძემ კუთხური ჩააწოდა და ტანმაღალმა გამეზარდაშვილმა მერლანს შანსი არ დაუტოვა თავურით — 1:0. გაშვებული ბურთის შემდეგ ვეტერინარები გააქტიურდნენ და ერთ წუთში ორჯერ შეუტიეს სახიფათოდ. ჯერ ნოზაძემ დაარტყა და კარს მცირედით ააცილა, შემდეგ ადამიამ იყოჩაღა ინდივიდუალურად, მაგრამ დარტყმა არ გამოუვიდა. ამის შემდეგ 38-ე წუთამდე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, შესვენებამდე შვიდი წუთით ადრე კი სტადიონზე სიტუაცია დაიძაბა, რაც გამეზარდაშვილის წაქცევას მოჰყვა. ზოგიერთმა გულშემატკივარმა სტუმარი ფეხბურთელების მიმართ „ტკბილი სიტყვები" არ დაიშურა. ოთარ მარცვალაძემ, რომელსაც ახლახან დედა გარდაეცვალა, ვერ მოითმინა გინება და ტრიბუნებს გინებითვე უპასუხა. ფანიაშვილმა ვიტელთა ფორვარდს უმალვე წითელი ბარათი უჩვენა. სანამ ყველაფერი დაწყნარდა, 5-6 წუთი გავიდა და თამაშიც შეწყდა. განახლებულზე მასპინძლებს ორი ნაღდი მომენტი შეექმნათ. ჯერ მეგრელაძის უძლიერესი დარტყმა მოიგერია მერლანმა, შემდეგ კი ბაბუნაშვილის დარტყმული „ჩამოიღო" ცხრიანიდან.

შესვენების შემდეგ „ტორპედოს" უპირატესობა აშკარა იყო. მასპინძლებს რამდენჯერმე შეეძლოთ გატანა. ყველაზე რეალური შანსი 64-ე წუთზე შეიქმნა: ბაბუნაშვილმა მეგრელაძე მოძებნა, გიომაც კაპიტანს სამეკარეოსთან ჩააწოდა და „ბაბუს" თავური სასწაულებრივი ნახტომით უკუაგდო მერლანმა. ამის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ გუნდები შეეგუვნენ ანგარიშს, თუმცა ხაჩიძის შეცვლებმა ყველაფერი შეცვალა. 84-ე წუთზე სახოკიამ საჯარიმოში ჩააწოდა და მერებაშვილის თავური ოდნავ წინ გამოსული სტურუას ზურგს უკან ჩაეშვა — 1:1. „ტორპედომ" ბოლოს ერთხელაც გაიბრძოლა, მაგრამ კოშკაძის დარტყმული მერლანმა კარის ხაზზე გააქვავა. თამაშის შემდეგი ქუთაისელ ქომაგთა ნაწილმა თავის გუნდს ობსტრუქცია მოუწყო, როგორც ჩანს, მათ სატურნირო ცხრილში კარგა ხანია, არ ჩაუხედავთ.

*ვლადიმერ ხაჩიძე:* მცირე კრიზისი გვქონდა, ბიჭებმა დაამტკიცეს, რომ თამაში შეუძლიათ და ჩვენი ჩამოწერა ნაადრევია. თამაშის ხარისხი არ იყო მაღალი, თუმცა შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. სხვა თუ არაფერი, ათი კაცით ვთამაშობდით.

*ოთარ გაბელია:* რისიც გვეშინოდა, ის მოხდა, ბოლო წუთებში გავუშვით გოლი, არადა, დიდი ანგარიშით მოგება გვმართებდა, მერლანმა სასწაული ბურთები აიღო. ზოგიერთი ფეხბურთელის უკმაყოფილო ვარ, სათამაშო დისციპლინა დაარღვიეს. ახლა ზედიზედ სამი გასვლა გვაქვს და ვეცდებით, კარგად ვითამაშოთ. ამ მაყურებელს კი ვერაფერი გავუგე, პირველზე ვართ და მაინც გვაგინებენ, ქვევით რომ ვიყოთ, ალბათ უარესი მოხდებოდა.



მირზა მერლანს მხოლოდ დავით გამეზარდაშვილმა აწყენინა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 8 | 6 | 2 | 0 | 23:4 | 20 |
| ტორპედო | 8 | 6 | 2 | 0 | 14:2 | 20 |
| თბილისი | 8 | 5 | 1 | 2 | 18:11 | 16 |
| ლოკომოტივი | 8 | 4 | 3 | 1 | 14:4 | 15 |
| ბათუმი | 8 | 4 | 2 | 2 | 12:6 | 14 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 3 | 2 | 3 | 13:13 | 11 |
| ზესტაფონი | 8 | 2 | 0 | 6 | 6:20 | 6 |
| სიონი | 8 | 2 | 0 | 6 | 7:23 | 6 |
| დილა | 8 | 1 | 0 | 7 | 6:17 | 3 |
| კოლხეთი | 8 | 1 | 0 | 7 | 3:16 | 3 |

ფოთი. 25 სექტემბერი. 16 საათი. ფაზისი. 500 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 0:1 ბათუმი

0:1 ჭელიძე (30)

| | |
|---|---|
| კოლხეთი: ქვაჩახია, გ. კილასონია, ქითანავა, აკობია, ლონლაძე (კუნჭულია 46), დ. ნარსია, თაყაძე, ვართაგავა (ხურცილავა 65), მარგალიტაძე, ზ. ქუთათელაძე, ძოძუაშვილი (ნ. ნარსია 46). *სათადარიგონი:* გ. შენგელია; ჭედია, ყურაშვილი. მწვრთნელები: ნუგზარ თვარაძე და გია ტყებუჩავა | ბათუმი: გრიშიკაშვილი, მახარაძე, ბეგლარ თედორაძე, ბეგლარ გალოგრე, ექონია, ხუჯაძე, ქაცარავა, შენგელია (მანჩხავა 60), გ. ნოდ. ჭელიძე, დარჩიძე (ჩიკვილაძე 60), ხომერიკი (ფირცხალაიშვილი 70). *სათადარიგონი:* ი. ბალაძე; ბესიკ თედორაძე, ცანავა, ფურცხვანიძე. მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე |

გაფრთხილება: ქუთათელაძე (44); ექონია

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); ი. აფციაური (დუშეთი), ნ. რუხიშვილი (ქუთაისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

# ზღვისპირული, ცოტა ძილისპირული და გულით გატანილი გოლი

**გიორგი მურვანიძე** ფოთიდან

გუნდებს ჰაერივით სჭირდებოდათ ქულები. „კოლხეთს" იმისთვის, რომ ცხრილის ფსკერზე არ დაილექოს, „ბათუმს" კი ლიდერებში ყოფნის ამბიცია აქვს. მიზანს ბათუმელებმა მიაღწიეს გიორგი ჭელიძის ერთადერთი გოლის წყალობით.

სიცხე იყო, ფეხბურთელებს სუნთქვა უჭირდათ და მატჩიც ვერაფერი სანახავი გამოვიდა. პირველი ტაიმი თანაბარ თამაშში გაილია, გატანა შეეძლოთ ბათუმელებსაც და ფოთელებსაც. პირველი სახიფათო მომენტი ბათუმელთა კართან შეიქმნა: მასპინძელთა მცველმა გიორგი კილასონიამ დაუბრკოლებლად გადაირბინა მეტოქის ნახევარი და მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა, ბურთი ძოძუაშვილმა მიიღო და ძლიერადაც დაარტყა, გრიშიკაშვილს გაუჭირდა მოგერიება და სიტუაცია მცველმა გალოგრემ განმუხტა. ამას ბათუმელთა შეტევა მოჰყვა. შენგელიამ ცენტრში მდგომ ჭელიძეს გადააწოდა, გიორგიმაც გრძელი და ზუსტი პასით დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა ვიტალი დარჩიძე, რომლის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

მასპინძლები ძირითადად საჯარიმოში ჩაწოდებით ცდილობდნენ ხიფათის შექმნას, მაგრამ ამ „არემარეს" გრიშიკაშვილი პატრონობდა. ბათუმელები კი თამაშს გიორგი ჭელიძეზე აგებდნენ, ხომერიკი კი „დირიჟორობდა".

პირველი ტაიმის ოცდაათი წუთი რომ მიილია, გალოგრემ მაღალი ტრაექტორიით გადააწოდა ბურთი ჭელიძეს, ამან კი, მეკარის სიახლოვეს ორ მცველს შორის მდგომმა, ბურთი მკერდით კარისკენ შეიგდო, ორი მცველი გააბითურა და არც მეკარის მოტყუება გასჭირვებია. ასე გაიხსნა ანგარიში და გოლის შემდეგ პირველ ტაიმში აღარაფერი მომხდარა.

მეორე ტაიმი მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს, რამაც ბათუმელთა უზუსტობები და ბავშვური შეცდომები გამოიწვია. 50-ე წუთზე სტუმართა მცველმა უხიფათო სიტუაციაში დაკარგა ბურთი და ქუთათელაძე მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, ადვილად მოატყუა იგი და... ცარიელ კართან დარჩენილმა ძელს გაარტყა ბურთი.

ამის შემდეგ ღირებული აღარაფერი შექმნილა, ახალგაზრდა, გამოუცდელმა ფოთელებმა ყურები ჩამოყარეს, ხოლო ბათუმელებმა ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყეს ზრუნვა და ეს კარგადაც გამოუვიდათ.


**ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !**

**ფკ ამერის საფეხბურთო სკოლამ განაახლა 1990-1997 წლებში დაბადებულ ბავშვთა მიღება**

ჩვენი მისამართია: თიანეთის გზატკეცილი 25 (გლდანულის გადასახვევთან), ოლიმპიური რეზერვების სკოლის ტერიტორიაზე

ტელეფონი: 899 76 21 24, 893 25-14-66



**საფეხბურთო სკოლა «ნორჩი დინამოელი»**

**აცხადებს**

1992-1998 წლებში დაბადებულ ბავშვთა მიღებას

მიღება ყოველდღე 10-დან 18 საათამდე

მისამართი: მაიაკოვსკის 4ა (მუშტაიდის ბაღის მიმდებარე ტერიტორია). ტელეფონი: 35-25-99 34-07-91

## იტალია

### სერია A. IV ტური

**ლაციო 1:2 მილანი**

1:0 კოუტუ (37), 1:1, 1:2 შევჩენკო (70, 74)
ლაციო: პერუცი, ოდო, სივილია, ფ. კოუტუ, ო. ლოპესი (დი კანიო 76), ა. ფილიპინი (ლივერანი 77), ე. ფილიპინი, ჯანიკედა, ძაური, ს. ინძაგი, პანდევი (დე სოუზა 84)
მწვრთნელი: დომენიკო კაზო
მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, კალაძე (პანკარო 68), გატუზო (პირლო 46), ამბროზინი, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, კრესპო (ტომასონი 68)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: კოუტუ, კალაძე, კრესპო, ჯანიკედა, ა. ფილიპინი, კაფუ, პირლო, ინძაგი, შევჩენკო
გაძევება: ამბროზინი (53)
მსაჯი: პაპარესტა
40 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 1:1 პალერმო**

0:1 ძაკარდო (17), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (54)
იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა, ტურამი, ფ. კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი (ოლივერა 79), ემერსონი, მ. ბლაზი (აპია 75), ნედველი, დელ პიერო (ტრეზეგე 46), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
პალერმო: გუარდალბენი, ძაკარდო, ბარძალი, ბიავა, გროსო, რაიმონდი (კონტეჰი 55; ტერლიცი 68), ბარონე, კორინი, მუტარელი, ძაული, ფარიასი (ბრიენძა 79)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: ძამბროტა, ბლაზი, ძაკარდო, კორინი, ბარონე
მსაჯი: ბერტინი
26 790 მაყურებელი

**ინტერი 2:2 პარმა**

0:1 ჯილარდინო (17), 1:1 მარტინსი (72), 1:2 მარკიონი (74), 2:2 მარტინსი (81)
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მატერაცი, ფავალი, ვან დერ მეიდე (ემრე 78), ხ. ვერონი, დავიდსი (რეკობა 65), დ. სტანკოვიჩი, ადრიანო, ვიერი (ო. მარტინსი 58)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
პარმა: ს. ფრეი, ბონერა, კონტინი (ბოვო 59), პ. კანავარო, პოტენცა, სიმპლისიო, გრელა, მარკიონი, მორფეო, ბრეშიანო (ბუდელი 13), ჯილარდინო (მაკარონე 78)
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
გაფრთხილება: სიმპლისიო, კორდობა, მორფეო
მსაჯი: მორგანტი
60 000 მაყურებელი

**ბოლონია 3:1 რომა**

1:0 მეგნი (5), 2:0 ჩიპრიანი (34), 3:0 მეგნი (37), 3:1 ტოტი (60)
ბოლონია: პალიუკა, ჟუარესი, პეტრუცი, ტორიზი, ნერვო (ტარე 67), ზაგორაკისი, ჯ. ამორუზო, სუსი, ლოკატელი (გამბერინი 58), მეგნი (ლოვიზო 58), ჩიპრიანი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
რომა: პელიცოლი, კუფრე, მ. ფერარი (სარტორი 40), დელასი, კანდელა (მონტელა 55), მანსინი, დაკური, პეროტა, ტოტი, ა. კასანო, დელვეკიო (მიდო 40)
მწვრთნელი: რუდი ფიოლერი
გაფრთხილება: ფერარი, ჟუარესი, ჩიპრიანი, პეროტა, ზაგორაკისი, ზაგორაკისი, სუსი, ტოტი, მეგნი
გაძევება: ჩიპრიანი (39), ზაგორაკისი (51)
მსაჯი: პიერი
18 000 მაყურებელი

**ფიორენტინა 0:2 სამპდორია**

0:1 ბაცანი (10), 0:2 საკეტი (64)
ფიორენტინა: ლუპატელი, არიატი (ნაკატა 50), ვიალი, დელი კარი, კიელინი, უიფალუში, ობოდო, პიანჯერელი (გიგუ 73), იორგენსენი (პორტილიო 62), მიკოლი, ფანტინი
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი, პავანი, ფალკონე, საკეტი, დიანა (დონი 74), ვოლპი, პალომბო, ტონეტო (როსინი 82), ფლაკი, ბაცანი (კუტუზოვი 67)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: პიანჯერელი, ტონეტო, პალომბო, ბაცანი, უიფალუში
მსაჯი: პრესკერნი
33 890 მაყურებელი

**უდინეზე 1:2 ბრეშა**

0:1 კარაჩოლო (83), 1:1 დი მიკელე (56), 1:2 მანინი (76)
უდინეზე: დე სანქტისი, ბელერი, კრიბარი, კროლდრუპი, იანკულოვსკი, მაური (პაზიენცა 52), მუნტარი (დ. პიზარო 46), პინცი, დი მიკელე, ფავა (იაკინტა 75), დი ნატალე
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
ბრეშა: კასტელაცი, ჟ. მარტინესი, ძობოლი, მარეკო, დალამანო, სტანკევიჩიუსი (მანინი 73), გუანა, დი ბიაჯო (მილანეტო 63), დომიცი, კარაჩოლო, სკული (ძამბელი 90)
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
გაფრთხილება: მუნტარი, ძობოლი, პინცი, დალამანო, დომიცი, დი ბიაჯო, კარაჩოლო
გაძევება: იანკულოვსკი (78)
მსაჯი: დატილო
14 000 მაყურებელი

**ლეჩე 3:1 კალიარი**

0:1 ესპოზიტო (48), 1:1 კასეტი (57), 2:1 ჯაკომაცი (73), 3:1 ბიელანოვიჩი (87)
ლეჩე: სიჩინიანო, კასეტი, დიამუტენე, სტოვინი, რულო, ჯაკომაცი (მარიანინი 88), ლედესმა, დალა ბონა (ერიომენკო 54), ბოჟინოვი (ბაბუ 90), ბიელანოვიჩი, პინარდი
მწვრთნელი: ზდენეკ ზემანი
კალიარი: კატერიანაკისი, დ. ლოპესი, მალტალიატი, ბეგა, აგოსტინი, დელ ნერვო, კონტი (ალბინო 88), გობი, მ. ესპოზიტო, ძოლა (პიზანო 36), ლანგელა (ბიანკი 68)
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
გაფრთხილება: დელ ნერვო, რულო, ბეგა, კონტი, კასეტი
გაძევება: ლოპესი (32)
მსაჯი: როდომონტი
15 000 მაყურებელი

**ლივორნო 1:1 ატალანტა**

0:1 გაუტიერი (71), 1:1 ვიჯანი (73)
ლივორნო: ამელია, გრანდონი, ა. ლუკარელი, მელარა, ბალერი (პფერცელი 82), ვიჯანი (დანილევიჩუსი 82), კორდოვა (გრაუზო 79), ვიდიგალი, რუოტოლო, პროტი, კ. ლუკარელი
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
ატალანტა: ტაიბი, რივალტა, გომელა, ნატალი, ბელინი, დ. ძენონი, ალბერტინი (მინგაცინი 82), მარკოლინი, გაუტიერი (ბერნარდინი 88), ბუდანი (ლაცარი 90), პაცინი
მწვრთნელი: ანდრეა მანდორლინი
გაფრთხილება: ლუკარელი, პროტი
გაძევება: პაცინი (30), პროტი (59)
მსაჯი: აიროლდი
16 000 მაყურებელი

**მესინა 0:0 კიევო**

*დანამ ვერ გაიტანა პენალტი (58, მეკარე)*
მესინა: სტორარი, ზორო კპოლო, მ. კონტე, კოპოლა, რეზაეი, პარიზი, ჯამპი, დონატი, ძამპანა, სულო (ილიევი 47), დი ნაპოლი (იანაგისავა 64)
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
კიევო: მარკეჯანი, მალაგო, მანდელი, ბარონიო (ალეგრეტი 73), დანა, ს. ლანა, სემიოლი (სესარი 90), ბრიგი, ფ. კოსატო, პელისიერი (ტირიბოკი 53)
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
გაფრთხილება: დანა, მანდელი, ზორო კპოლო
მსაჯი: რიცოლი
30 000 მაყურებელი

**სიენა 0:0 რეჯინა**

სიენა: მანინგერი, ჩირილო, პორტანოვა, მინანი, ფალზიმი, პეკია (არდიტო 56), დი დონატო (სერაფინი 74), ვერგასოლა, კამორანი (გრაფიედი 46), კიეზა, ფლო
მწვრთნელი: ლუიჯი სიმონი
რეჯინა: პავარინი, კანარზა, დე როზა, ი. ფრანჩესკინი, მესტო, ტედესკო, მოცარტი, ჯ. კოლუჩი (პარედესი 53), ბალესტრი, ნაკამურა (ბორიელო 64), ბონაცოლი (დიონიჯი 76)
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
გაფრთხილება: დი დონატო, მოცარტი, ბონაცოლი, ტედესკო
მსაჯი: დე სანტისი
8 000 მაყურებელი

# მურადამ ფიოლერი დაითხოვა



REUTERS

ლაციო — მილანი. კაცნაკლულმა სტუმრებმა ანდრეი შევჩენკოს დუბლით მოიგეს

**თურმე** „პალერმო" ლუკა ტონის გარეშეც გუნდია და მერე როგორი კბილებიანი. მოკლედ, „იუვენტუსის" ასპროცენტიანი, დიდკაცური სვლა დასრულდა. შთაბეჭდილება, რომელიც ტურინელებმა პირველ სამ ტურში მოახდინეს, თითქოს „სკუდეტო" ჩემპიონატის დასაწყისშივე, მათთვის ყოფილიყო გადადებული — წაშლილია, პირველი ეფექტი ჩათვლილია და როგორც ჩანს, ამიერიდან ჩვეულებრივი ჩემპიონატი დაიწყება.

„პალერმოელებმა გოლი რომ გაგვიტანეს, ჩვენ რაღაც მეტისმეტად მოშვებულნი ვიყავით, — თქვა მატჩის შემდეგ „ბებერი ქალბატონის" მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ, — მაგრამ ამის მიუხედავად, შემდეგ კარგი საგოლე მომენტებიც შევქმენით და კარგადაც ვითამაშეთ. ვფიქრობ, ამ ერთ ქულაზე გული არ უნდა გვეთანაღრებოდეს".

ერთადერთი, რაზეც ამ მატჩში ვინმეს შეიძლება გული ეთანაღრებოდეს, გახლავთ ზლატან იბრაჰიმოვიჩის გოლი, რომლითაც „იუვემ" ანგარიში გაათანაბრა. საქმე ის არის, რომ ჯონათან ძებინას მიერ მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებულ ბურთს დავიდ ტრეზეგემ თავური დაარტყა, რომელიც სიცილიელების მეკარემ გუარდალბენმა მოიგერია, მაგრამ ბურთს იბრაჰიმოვიჩმა დაამატა და შეაგდო. აი, ამ ეპიზოდში ტრეზეგემ, თითქოს, ოფსაიდიდან დაარტყა თავური, მაგრამ ამაზე ყურადღება არავის გაუმახვილებია, თვით „პალერმოს" მწვრთნელს ფრანჩესკო გვიდოლინისაც კი.

თუმცა, „დელე ალპიზე" გამართულ ამ თამაშს საბედისწეროობით ბოლონიაში „რომას" სტუმრობამ გადაასწრო — ბოლონიელებმა დათარსულ რომაელებს 3:1 მოუგეს და შედეგად რუდი ფიოლერმა თანამდებობა დატოვა.

„ბოლონიას" მწვრთნელი კარლო მაცონე: „გული მწყდება ფიოლერის ამბის გამო. „რომა" ამ ეტაპზე გასაჭირშია და ვიმედოვნებ, რომ მდგომარეობიდან გამოვლენ".

ბოლონიელთაგან ორი გოლი 20 წლის ფრანგმა მურად მეგნიმ გაიტანა და მეტსახელი, „ახალი ზიდანი" გაამართლა.

მაცონე: „მეგნი თანდათან ეშხში შედის და აზრს უგებს ჩემს ნათქვამს იმის შესახებ, რომ თუ თავის ნიჭს სრულად გამოამჟღავნებს, ძირითადში მეყოლება".

თუმცა, განსაკუთრებით აღსანიშნავი ამ თამაშში ის იყო, რომ „ბოლონია" 38-ე წუთის შემდეგ გაძევებული ჩიპრიანის გარეშე იყო მოედანზე, ხოლო 51-ე წუთიდან, მას მერე, რაც ჩიპრანის გზას მსაჯმა ზაგორაკისიც მიაყოლა, მასპინძლები სულაც ცხრანი დარჩნენ. ჩიპრიანიმ მეორე ყვითელი ყალბი წაქცევისთვის მიიღო, ხოლო ზაგორაკისი ტოტის წინააღმდეგ უხეშობისთვის დაითხოვეს.

ამაღელვებელი გახლდათ მსხვილკალიბრიანი „ინტერისა" და ახალგაზრდული „პარმას" მილანური დაპირისპირება. ანგარიში იტალიური ფეხბურთის ამჟამად[illegible] ან, უფრო [illegible] იქნება [illegible] მოგაშ[illegible] ვარსკვლავმა [illegible] ჯილარდინომ გახსნა — კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი დაუშვებლად, მარჯვენა ფეხით გადაგზავნა მასპინძელთა კარის შორეულ, მისთვის ზურგსუკანა კუთხეში. ამის შემდეგ ანგარიში დიდხანს არ ფიქრობდა შეცვლას, თუმცა, როდესაც რობერტო მანჩინიმ კრისტიან ვიერის ნაცვლად თავდასხმაში, ადრიანოს მეწყვილედ ობაფემი მარტინსი შეიყვანა, ბურთიც ეშხში შევიდა და ორჯერ პარმას, ერთხელ კი „ინტერს" ბადეში შეფრინდა.

მარტინსმა სტუმრებს ზუსტად ათ წუთში, 71 და 81-ე წუთებზე გაუტანა, მარკიონიმ კი „ინტერის" კარში მარტინსის პირველი გოლიდან ორ წუთში, 73-ზე შეაგდო.

ტურის ბოლო მატჩის, „ლაციოს" და „მილანის" ამბავს კი ხვალინდელ „სარბიელში" გიამბობთ, თუმც ანგარიშს აქვე გთავაზობთ და შესაბამისად შედეგსაც ცხრილში ვითვალისწინებთ.

**პაპუნა ბედია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:1 | 8 | 10 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 6 |
| 2 ლეჩე | 4 | 2 | 2 | 0 | 11:6 | 5 | 8 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 0 | 2 |
| 3 მესინა | 4 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 2 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 |
| 4 მილანი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 2 | 7 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 |
| 5 ლაციო | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 7 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 6 |
| 6 ინტერი | 4 | 1 | 3 | 0 | 8:7 | 1 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 1 | 4 |
| 7 კიევო | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 1 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 |
| 8 რეჯინა | 4 | 1 | 3 | 0 | 3:2 | 1 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 |
| 9 პალერმო | 4 | 1 | 3 | 0 | 3:2 | 1 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 10 კალიარი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 0 |
| 11 ბოლონია | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 12 უდინეზე | 4 | 1 | 2 | 1 | 5:2 | 3 | 5 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:2 | 3 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 2 |
| 13 რომა | 4 | 1 | 1 | 2 | 7:9 | -2 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 4:7 | -3 | 0 |
| 14 სიენა | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 |
| 15 ფიორენტინა | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 |
| 16 სამპდორია | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | -3 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 |
| 17 ბრეშა | 4 | 1 | 0 | 3 | 3:10 | -7 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | -5 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | -2 | 3 |
| 18 ლივორნო | 4 | 0 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 |
| 19 ატალანტა | 4 | 0 | 2 | 2 | 5:8 | -3 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | -1 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 20 პარმა | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | -5 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | -4 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 4 |
| ბოჟინოვი (ლეჩე) | 4 |
| მონტელა (რომა) | 4 |
| ადრიანო (ინტერი) | 3 |
| შევჩენკო (მილანი) | 3 |
| ჯაკომაცი (ლეჩე) | 3 |
| იბრაჰიმოვიჩი (იუვენტუსი) | 3 |
| ესპოზიტო (კალიარი) | 3 |

### V ტური

3 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| ატალანტა | : | ლაციო |
| კალიარი | : | ბრეშა |
| კიევო | : | ლეჩე |
| მესინა | : | სიენა |
| მილანი | : | რეჯინა |
| პალერმო | : | ბოლონია |
| პარმა | : | ფიორენტინა |
| რომა | : | ინტერი |
| სამპდორია | : | ლივორნო |
| უდინეზე | : | იუვენტუსი |

### სერია B. IV ტური

**ალბინოლეფე 2:1 ვიჩენცა**

1:0 კარობიო (22), 1:1 შვოხი (53), 2:1 ბონაცი (65)

**ასკოლი 1:0 კატანძარო**

1:0 კოლაჩონე (45)

**ბარი 0:1 ტორინო**

0:1 პინგა (70პ)

**კატანია 0:0 პერუჯა**

**კროტონე 1:0 მოდენა**

1:0 მაიერი (62ს.კ.)

**ჯენოა 5:0 სალერნიტანა**

1:0 კაჩა (20), 2:0 დ. მილიტო (38), 3:0 ძანინი (53), 4:0 დ. მილიტო (69), 5:0 მაკინვა (74)

**პიაჩენცა 2:1 ჩეზენა**

1:0 ჯედა (47), 1:1 კავალი (62), 2:1 ჯედა (70)

**ტერნანა 2:0 ვენეცია**

1:0 დი ვიჩინო (15), 2:0 ხარია (62)

**ტრევიზო 1:1 პესკარა**

0:1 რუსო (7), 1:1 დაგოსტინო (30)

**ტრიესტინა 3:4 ემპოლი**

0:1 პ. ძანეტი (19), 1:1 მოსკარდელი (20), 2:1 რიგონი (26), 2:2 ტავანო (30), 2:3 ვანუკი (60), 3:3 მოსკარდელი (67), 3:4 ტავანო (73)

**ვერონა — არეცო**

დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალბინოლეფე | 4 | 4 | 0 | 0 | 9:2 | 12 |
| ტორინო | 4 | 4 | 0 | 0 | 9:2 | 12 |
| ემპოლი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:5 | 10 |
| პიაჩენცა | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| პერუჯა | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| ჯენოა | 4 | 2 | 1 | 1 | 9:3 | 7 |
| არეცო | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| ჩეზენა | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| კატანია | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| ვიჩენცა | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| ტერნანა | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| ტრიესტინა | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | 4 |
| ასკოლი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| კროტონე | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | 3 |
| ვენეცია | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |
| სალერნიტანა | 4 | 0 | 3 | 1 | 4:9 | 3 |
| ტრევიზო | 4 | 0 | 2 | 2 | 2:7 | 2 |
| ბარი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 1 |
| პესკარა | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |
| ვერონა | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | 0 |
| მოდენა | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 0 |
| კატანძარო | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | -2 |

*„ბარის" დაკლებული აქვს 1 ქულა, „მოდენას" 4 ქულა, „კატანძაროს" 5*

### სერია C1/A. III ტური

აკირეალე — ს. ტორესი 1:1; პიზა — ვიტორია 2:0; კომო — სპეცია 2:2; კრემონეზე — მანტოვა 2:1; ფ. ანდრია — ლუკეზე 2:1; ფროზინონე — პავია 1:0; ნოვარა — პრო პატრია 2:2; პისტოიეზე — გროსეტო 1:0; სანჯოვანეზე — ლუმეცანე 3:0

### სერია C1/B. III ტური

აველინო — პეზარო 2:0; ბენევენტო — ფოჯა 2:3; კიეტი — ფერმანა 0:0; ნაპოლი — ჩიტადელა 3:3; პადოვა — ლანჩანო 2:3; რეჯანა — ჯულიანოვა 5:0; სამბენედეტეზე — რიმინი 0:0; სპალ — მარტინა 1:0; ტერამო — სორა 1:0

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოთხი თამაშიდან ორი ქულა — ასე დასრულდა გერმანელი მწვრთნელის, რუდი ფიოლერის კარიერა „რომაში“

# რუდის ქუდი დაიხურა

კლუბის სპორტული დირექტორი ფრანკო ბალდინი: „ვადასტურებ, ფიოლერმა წასვლის შესახებ განცხადება დაწერა, მაგრამ ჩვენ მაინც ვცდილობდით აზრი შეეცვალა. მე პირადად ვთხოვე მოთმინება. ბოლოს და ბოლოს, იმ სპექტაკლში, რაც ჩვენ შაბათს, ბოლონიაში ვიხილეთ, იგი სრულებით არ არის დამნაშავე ემოციის გავლის შემდეგ, ცივ გონებაზე გადაწყვეტილების მიღება შევთავაზე, მაგრამ როგორც ჩანს, ის შეურყეველია“.

შეგახსენებთ, რომ გერმანიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა „რომას“ შეფის თანამდებობა სეზონის დაწყებამდე სულ რაღაც ორი კვირით ადრე ჩაიბარა. მანამდე „რომას“ სათავეში ედგა „პარმადან“ გადასული ჩეზარე პრანდელი, რომელიც მეუღლის ავადმყოფობის გამო დროებით ჩამოშორდა საქმიანობას.

ჩაიბარა თუ არა ფიოლერმა „რომა“, ხელად წააწყდა პრობლემებს. პირველი პრობლემა სერია A-ს პირველ ტურში ანტონიო კასანოს გაძევება და თავდამსხმელის ამას მოყოლებული ქცევა გახლდათ. ამის შემდეგ იყო ჩემპიონთა ლიგის პირველ შეხვედრაში, კიევის „დინამოსთან“ მომხდარი ამბავი — შეგახსენებთ, რომ შესვენებისას ტრიბუნიდან ნასროლმა საგანმა შეხვედრის მსაჯს, ანდერს ფრისკს თავი გაუტეხა და მატჩი ჩაიშალა. დაბოლოს, შაბათს, ცხრა კაცით დარჩენილ „ბოლონიასთან“ 1:3 წაგება...

„მინდა მადლობა მოვახსენო პრეზიდენტ ფრანკო სენსის და მის ოჯახს, რომელიც ჩემს სურვილს გადადგომის შესახებ გაგებით შეხვდა — განაცხადა თავად ფიოლერმა — მე გუნდის მართვის წესს ვარ დაჩვეული და ვცადე, რომ ასეც მოვქცეულიყავი, მაგრამ ბოლონიაში თამაშის შემდეგ მივხვდი, რომ ვცდებოდი“.

**პაპუნა ქედია**



ანდერს ფრისკი, რომაელთა უდისციპლინობის მსხვერპლი შეიქნა

## პორტუგალია

### სუპერლიგა. IV ტური

**ლეირია 1:2 პენაფიელი**

0:1 ფოლია (8), 0:2 კლეიტონი (18), 1:2 რენატო (59)

**ჟილ ვისენტე 3:1 მორეირენსე**

1:0 კარლიტუში (47), 1:1 მანოელი (77), 2:1 ვოუზელა (82ს.კ.), 3:1 პაულუ ალვეში (90პ)

**ნასიონალი 2:1 აკადემიკა**

1:0 სერჟინიუ (56), 1:1 ლუსიანუ (72), 2:1 ფერეირა (80)

**მარიტიმუ 2:1 ბოავიშტა**

1:0 ტონელი (25), 2:0 ალანი (76პ), 2:1 კადუ (90)

**გიმარაეში 0:1 პორტუ**

0:1 კოშტინია (84)

**სეტუბალი 1:2 ბეირა მარი**

0:1 ბეტუ (27), 1:1 ზე რუი (37), 1:2 მაკფი (83)

**ბენფიკა 0:0 ბრაგა**

**რიუ ავე — სპორტინგი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

**ეშტორილი — ბელენენსეში**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| მარიტიმუ | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| ბელენენსეში | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 7 |
| სეტუბალი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:4 | 7 |
| ბოავიშტა | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| პორტუ | 4 | 1 | 3 | 0 | 5:4 | 6 |
| ბრაგა | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| ბეირა მარი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| ნასიონალი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| ლეირია | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| გიმარაეში | 4 | 1 | 1 | 2 | 2:3 | 4 |
| მორეირენსე | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| პენაფიელი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:9 | 4 |
| რიუ ავე | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 3 |
| ჟილ ვისენტე | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | 3 |
| სპორტინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| ეშტორილი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:6 | 2 |
| აკადემიკა | 4 | 0 | 1 | 3 | 4:7 | 1 |

### მეორე ლიგა. IV ტური

პორტიმონენსე — ალვერკა 0:1; მარკუ — ვარზიმი 3:0; ლეიშოეში — შავეში 0:1; მაია — ფელგეირაში 2:0; ამადორა — ესპინიუ 1:0; ნავალი — გონდომარი 3:1; ფეირენსე — ოლიალენსე 0:0; ფერეირა — ოვაირენსე 1:1; სანტა კლარა — ავეში 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამადორა | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| ავეში | 4 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 9 |
| მაია | 4 | 3 | 0 | 1 | 5:3 | 9 |
1:0 აჩიმოვიჩი (17პ), 2:0 მუსილუ (51), 3:0 ბომპიე (71ს.კ.), 4:0 უდელი (80)

**მარსელი 1:0 ბასტია**

1:0 ბატლე (77)

**ნიცა 2:0 რენი**

1:0 რუდე (3), 2:0 ვაირუა (25პ)

**პსჟ 1:0 სტრასბური**

1:0 პაულეტა (79)

**სოშო 2:1 სენტ ეტიენი**

1:0 იზაბე (6), 1:1 პიკიონი (34), 2:1 ორუმა (80)

**ნანტი 1:0 ლანსი**

1:0 გ. პუიოლი (59)

**აი, სასწაული** — პსჟ-მ მოიგო. საფრანგეთის ერთ-ერთმა უმდიდრესმა კლუბმა მერვე ტურში მოახერხა ნავსის გატეხვა და მასავით მბობლავ „სტრასბურს" პედრო პაულეტას გვიანი გოლით სძლია. ახლა „სტრასბური" და „ისტრი" დარჩნენ ლიგაში, რომელბსაც გამარჯვება რა უგემიათ, თუმც ისტრელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გი რუს „ოსერს" სტუმრად მაგრად დაუდგნენ და ქულა წაჰგლიჯეს. ოსერელები დებიუტანტს მთელი მატჩის განმავლობაში უტევდნენ, მაგრამ რუდი რიუს კარის გასაღებს ვერ მიაგნეს. შეხვედრის ბოლოს, როცა უხეშობამ იმატა „ისტრეს" ლორენ კურტუაზი გაუძევეს, დამატებულ დროში კი რიუმ მასთან პირისპირ გასულ იან ლაშუერს არ გაატანინა.

ლიონში „მონაკოში" ბოლო ნახევარი საათი კაცნაკლული თამაშობდა, რადგან ურუგვაელი დიეგო პერესი ჟერომ ბერთოდის წაქცევისთვის მოედნიდან მიაბრძანეს. ათკაცა მონაკოელებმა გაძლეს და ლიდერობა შეინარჩუნეს. „ლიონს" პირველ ტაიმში ჰქონდა ნაღდი საგოლე მომენტი, როცა ფლავიო რომამ ექვსი მეტრიდან დიარას დარტყმული ბურთი მოიგერია.

„ლილმა" მეხუთე შეხვედრა მოიგო და მხოლოდ ქულით ჩამორჩება „მონაკოს". ლილელთა ასეთი წარმატებული თამაში მოულოდნელია, თუმც ფაქტია, რომ გუნდმა მიჯრით ოთხ მატჩში იმარჯვა და თან გოლიც არ გაუშვია. ამჯერად „ლილმა" „მეცი" დაჩაგრა და ოთხი გოლით დატვირთული გაისტუმრა. მილენკო აჩიმოვიჩმა მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა. ფილიპ ბრუნელის კარსგასწვრივ პასს მცველები ვერ მისწვდნენ და მეტ მუსილუმ მეორე გაიტანა. მოგვიანებით მუსილუსაგან დაშინებულმა ბომპიერმა ბურთის საკუთარ კარში ჩაჭრა და ანგარიშში სხვაობა სამამდე გაიზარდა, ხოლო შეცვლაზე შესულმა იოან აუდელმა გაათოხა.

კორსიკაზე „აიაჩომ" კაცნაკლულ „კაენს" ვერ მოუგო, თუმც კი ორჯერ დაწინაურდა შეხვედრაში. ლუკას პერეირას გოლს სტუმარმა სირილ ვატიერმა უპასუხა, მერე კი კაენელი ბაკური მეორე ყვითელი ბარათის ძალით გააძევეს. ათკაცა სტუმრებს ლუკას პერეირამ მეორე ტაიმშიც გაუტანა, მაგრამ რეინალდ ლემაიტერმა თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე გაათანაბრა.

„ბასტიაში შთამბეჭდავი გამარჯვების (4:1) შემდეგ „ბორდო" შინ „ტულუზს" დაუზავდა. პირველ ტაიმში მასპინძლებმა 3-4 საგოლე მომენტი დალუპეს, ხოლო შესვენების მერე შამახმა იყოჩაღა. ჟურიეტის ჩაწოდებულ ბურთზე არიბაჟეს დაასწრო და თავით რევოს კარში შეაბრძანა. მარკ პლანუსს შეეძლო ანგარიშში სხვაობის გაზრდა, მაგრამ ხარიხა შეაზანზარა, სამაგიეროდ სტუმარი დანიელ მორეირას თავური დარტყმა გამოდგა ზუსტი. მორეირამ კუთხურიდან ჩაფრენილ ბურთს ისე უთავაზა, რომ ულრიხ რამე უშანსოდ დატოვა.

„მარსელს" შეცვლაზე შესულმა ლორენ ბატლემ უშველა, რადგან სამხრეთელებმა მისი გოლით იმარჯვეს. ოლემბე-ბამოგოს კომბინაციით ბატლე ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა და ნიკოლა პენეტოს გაუტანა.

ლაჟვარდოვან სანაპიროზე „რენს" მეორე ტაიმში სირილ ჟენეშამი გაუძევეს, თუმც მანამდე უკვე 0:2-ს აგებდა „ნიცასთან" და შეხვედრა ასეც დასრულდა. ნიცელები სებასტიან რუდეტმა მესამე წუთზევე დააწინაურა, მარამა ვაირუამ კი იანკაუსკასის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტრიანი შეაგდო.



REUTERS

ლიონი — მონაკო. სტუმარი დიეგო პერესი მსაჯთან კამათს შეეწირა

სოშოში „სენტ ეტიენის" ფრედერიკ პიკიონმა მოხდენილი გოლი მიითვალა, რადგან რამდენიმე მცველს გასცდა და მეკარეც ზედ მიაყოლა, მაგრამ ეს ფრიისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. სოშოელმა მიკაელ ისაბეიმ ანგარიში გახსნა, ხოლო ვილსონ ორუმამ მატჩის ბოლოს გამარჯვებისა გაიტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 8 | 5 | 2 | 1 | 10:5 | 17 |
| ლილი | 8 | 5 | 1 | 2 | 11:4 | 16 |
| ლიონი | 8 | 4 | 4 | 0 | 8:3 | 16 |
| ბორდო | 8 | 3 | 4 | 1 | 12:4 | 13 |
| ოსერი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:8 | 13 |
| მარსელი | 8 | 4 | 1 | 3 | 8:7 | 13 |
| ტულუზი | 8 | 3 | 3 | 2 | 12:9 | 12 |
| ბასტია | 8 | 3 | 3 | 2 | 7:8 | 12 |
| მეცი | 8 | 3 | 3 | 2 | 8:12 | 12 |
| რენი | 8 | 3 | 2 | 3 | 7:9 | 11 |
| ლანსი | 8 | 2 | 4 | 2 | 10:7 | 10 |
| კაენი | 8 | 2 | 4 | 2 | 7:8 | 10 |
| სოშო | 8 | 3 | 1 | 4 | 8:10 | 10 |
| ნანტი | 8 | 2 | 3 | 3 | 6:7 | 9 |
| ნიცა | 8 | 2 | 3 | 3 | 8:11 | 9 |
| პსჟ | 8 | 1 | 4 | 3 | 10:12 | 7 |
| სტ. ეტიენი | 8 | 1 | 4 | 3 | 8:11 | 7 |
| აიაჩო | 8 | 1 | 3 | 4 | 7:11 | 6 |
| ისტრი | 8 | 0 | 4 | 4 | 4:9 | 4 |
| სტრასბური | 8 | 0 | 4 | 4 | 7:14 | 4 |

### II დივიზიონი. X ტური

გრენობლი — ლავალი 2:1; გენგამი — ნანსი 3:2; ლე ავრი — ბრესტი 0:0; ამიენი — ანჟე 0:2; კლერმონი — ტრუა 1:3; ლე მანი — შატორუ 0:2; ნიორი — ლორიანი 4:0; რეიმსი — მონპელიე 0:2; კრეტეი — დიჟონი 1:1. *გენიონი — სედანი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრესტი | 10 | 5 | 3 | 2 | 15:11 | 18 |
| გრენობლი | 10 | 5 | 3 | 2 | 16:15 | 18 |
| ნანსი | 10 | 5 | 2 | 3 | 12:10 | 17 |
| გენიონი | 9 | 4 | 4 | 1 | 8:4 | 16 |
| სედანი | 9 | 5 | 1 | 3 | 11:9 | 16 |
| ამიენი | 10 | 4 | 4 | 2 | 11:9 | 16 |
| დიჟონი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:11 | 15 |
| ლე მანი | 10 | 3 | 4 | 3 | 10:9 | 13 |
| რეიმსი | 10 | 3 | 4 | 3 | 11:13 | 13 |
| ნიორი | 10 | 4 | 0 | 6 | 13:12 | 12 |
| ლე ავრი | 10 | 3 | 3 | 4 | 10:9 | 12 |
| ტრუა | 10 | 3 | 3 | 4 | 14:14 | 12 |
| ანჟე | 10 | 3 | 3 | 4 | 10:10 | 12 |
| მონპელიე | 10 | 3 | 3 | 4 | 8:9 | 12 |
| გენგამი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:15 | 12 |
| კლერმონი | 10 | 2 | 5 | 3 | 13:12 | 11 |
| შატორუ | 10 | 2 | 5 | 3 | 11:12 | 11 |
| ლორიანი | 10 | 3 | 2 | 5 | 9:15 | 11 |
| ლავალი | 10 | 2 | 4 | 4 | 9:14 | 10 |
| კრეტეი | 10 | 2 | 3 | 5 | 9:12 | 9 |



REUTERS

პსჟ — სტრასბური. მასპინძლებს მიმდინარე სეზონში პირველად პედრუ პაულეტამ (მარჯვნივ) გაამარჯვებინა

# ზედიზედ შვიდი შინიკი
## მე და იურიჩი ზაგრებიდან

### რუსეთი
პრემიერლიგა. XXIV ტური

**ცსკა 0:1 ლოკომოტივი**
0:1 ლოსკოვი (73)
ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ევსეევი, ასათიანი, სენიკოვი, გურენკო, ფ. ლიმა, ხოხლოვი (ბილიალეტდინოვი 58), მამინოვი, ლოსკოვი, იზმაილოვი, პარკსი (პიმენოვი 46; ნიჟეგოროდოვი 84)
მწვრთნელი: იური სიომინი

**რუბინი 2:2 დინამო**
1:0 ბოიარინცევი (11), 2:0 რუსელი (30), 2:1, 2:2 გიანი (54, 90)
დინამო: ლევიცკი, ხიზანეიშვილი, პოლოვინჩუკი, მენდი, ტოჩილინი, ტანასიევიჩი, დიატელი (იაშინი 80), ბრატიჩი (ბესჩასტნიხი 61), რომაშჩენკო, გიანი, ბულიკინი (პროხორენკოვსი 69)
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი

**როტორი 3:2 როსტოვი**
0:1 პერესი (6), 1:1 ესიპოვი (22), 2:1 კოზლოვი (31), 3:1 როვნეიკო (53), 3:2 კანიენდა (55)
როსტოვი: კოლინკო, კოილი, როგოჩი, გუტიერესი, დაცენკო, ბურჩენკო (ასლანიდი 58), მნგუნი, კრუშჩიჩი, აკომპიანცი (ალექსიძე 80), პერესი (ალხაზოვი 58), კანიენდა
მწვრთნელი: სერგეი ბალახნინი

**ტორპედო 0:1 კრილია სოვეტოვი**
0:1 ტიხონოვი (24პ)

**ამკარი 0:2 სპარტაკი**
0:1, 0:2 ალენიჩევი (32პ, 90)

**სატურნი 2:1 ყუბანი**
1:0 იანი (75), 2:0 პავლოვიჩი (78), 2:1 პოპოვი (89)

**მოსკოვი 0:0 ალანია**

**შინიკი 2:1 ზენიტი**
1:0 სპახიჩი (28), 1:1 ვიეშტიცა (29), 2:1 სპახიჩი (90)



ცსკა — ლოკომოტივი. მალხაზ ასათიანმა არმიელ ფორვარდებს ფეხი არ გაანძრევინა

„შინიკმა“ მიჯრით მეშვიდე შეხვედრა მოიგო და ორი რეკორდი დაამყარა. პირველი — ამ სეზონში მსგავსი შედეგი სხვა არც ერთ გუნდს არა აქვს და მეორე — პირადი რეკორდი, ანუ „შინიკს“ ზედიზედ შვიდი არასოდეს მოუგია. ეს გუნდი ოლეგ დოლმატოვმა რომ ჩაიბარა, მიზნად პრემიერლიგაში დაგილის შენარჩუნება დაისახა, ახლა კი სამეულში მოხვედრაც შეუძლია.

მასპიძლები პირველი ტაიმის შუაში დაწინაურდნენ. იურიჩის ჩაწოდებულ ბურთს სპახიჩმა თავი შეაგება და სარიხის ქვეშ შეასრიალა. „ზენიტმა“ უმალ გაათანაბრა. სპივაკის არცთუ ძლიერად დარტყმული უზუსტესი გამოდგა და საფანოვი ბურთს ვერ შესწვდა. ამის შემდეგ კერჟაკოვმა ნაღდი მომენტი გაანიავა — კარის წინ ეულად დარჩენილმა ძელი შეაზანზარა. მეორე ტაიმში რუბინსის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი სპახიჩმა გამოყენა და „შინიკმა“ ანგარიში შეინარჩუნა. ნამატჩევს სპახიჩმა თქვა, პირველი გოლისას გათამაშებული სტანდარტული მდგომარეობა მე და იურიჩმა ჯერ კიდევ ზაგრების „დინამოსში“ თამაშისას დავხვეწეთო.

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ სტუმრად ცსკა-ს სძლია და ოქროს მაძიებელთა რიგებს კვლავ დაუბრუნდა. „ლოკომ“ გასულ ტურში შინ „როტორთან“ ოვჩინიკოვის შეცდომის გამო წააგო, ამჯერად კი ოვჩინიკოვმა არაერთხელ იხსნა გუნდი. პირველ ტაიმში სტუმართა მეკარემ მასთან პირისპირ გასულ ივიცა ოლიჩს არ გაატანინა. შესვენების შემდეგ მალხაზ ასათიანის ნათავურალი ბურთი ხარიხას ოდნავ ასცდა. „ლოკომოტივის“ გოლი დმიტრი ლოსკოვმა მიითვალა, რომელმაც იზმაილოვის პასი გამოიყენა და ეს მისი მესამე გოლი გამოდგა ამ სეზონში.

ყაზანში „რუბინი“ მოსკოვის „დინამოს“ დაუხვდა და ბოლო წუთზე გამარჯვება ხელიდან გაუშვა. ორივე გუნდი პრემიერლიგაში დასარჩენად [illegible] ლა მათთვის ურიგო მონაგარი არაა. ბა[illegible] მასპინძლები დააწინაურა, რუსელმა კი ცარიელი კარის წინ მიიღო ბურთი და გატანა არ გასჭირვებია.

მოსკოველები ბაფური გიანმა გადაარჩინა. განელმა ფორვარდმა მეორე ტაიმის დასაწყისში თავური დარტყმით ერთი გაქვითა, ხოლო მატჩის მიწურულს გიანს კოხტა გოლი გამოუვიდა. მცველების გარემოცვაში ბურთი აათამაშა და მიწაზე დაუშვებლად ცხრიანში ჩააჭედა.

ვოლგოგრადის „როტორმა“ ჩემპიონატის ბოლოს დაიწყო თამაშების მოგება და ასე თუ გააგრძელა, შესაძლოა, პრემიერლიგიდან არც გავარდეს. ვოლგისპირელებმა გასულ უქმეებზე მოსკოვში „ლოკომოტივს“ სძლიეს, ახლა კი შინ „როსტოვს“ დაატოვებინეს სამი ქულა. სტუმრები პერესის გოლით იგებდნენ, მაგრამ ესიპოვმა და კოზლოვმა პირველივე ტაიმში „როტორი“ წინ გაიყვანეს. რავნეიკომ და კანიენდამ შესვენების შემდეგ თითო გოლი გაცვალეს და მეტოქეები ასე დაშორდნენ ერთმანეთს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზენიტი | 24 | 15 | 3 | 6 | 44:27 | 48 |
| ცსკა | 24 | 13 | 7 | 4 | 40:20 | 46 |
| ლოკომოტივი | 24 | 13 | 6 | 5 | 34:17 | 45 |
| კრილია | 24 | 13 | 4 | 7 | 41:34 | 43 |
| შინიკი | 24 | 11 | 7 | 6 | 26:22 | 40 |
| ტორპედო | 24 | 11 | 6 | 7 | 38:28 | 39 |
| მოსკოვი | 24 | 8 | 10 | 6 | 28:25 | 34 |
| სპარტაკი | 24 | 10 | 4 | 10 | 36:35 | 34 |
| სატურნი | 24 | 7 | 11 | 6 | 25:22 | 32 |
| რუბინი | 24 | 5 | 10 | 9 | 24:26 | 25 |
| როსტოვი | 24 | 6 | 7 | 11 | 25:32 | 25 |
| ალანია | 24 | 6 | 6 | 12 | 20:36 | 24 |
| დინამო | 24 | 5 | 8 | 11 | 24:32 | 23 |
| ამკარი | 24 | 4 | 10 | 10 | 21:37 | 22 |
| ყუბანი | 24 | 4 | 9 | 11 | 21:33 | 21 |
| როტორი | 24 | 4 | 6 | 14 | 23:44 | 18 |

### ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა. VII ტური

სპარტა — პრჟიბრამი 4:2; იაბლონეცი — სლავია 1:1; სიგმა — ბლშანი 1:0; ბანიკი — ზლინი 3:1; სინოტი — ოპავა 1:0; დრნოვიცე — ბუდეიოვიცე 2:0; მლადა ბოლესლავი — ლიბერეცი 0:1; ბრნო — ტეპლიცე დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 7 | 6 | 1 | 0 | 19:7 | 19 |
| სიგმა | 7 | 5 | 0 | 2 | 10:6 | 15 |
| ბანიკი | 7 | 4 | 2 | 1 | 11:6 | 14 |
| ბრნო | 6 | 4 | 1 | 1 | 6:5 | 13 |
| ლიბერეცი | 7 | 4 | 0 | 3 | 9:3 | 12 |
| ტეპლიცე | 6 | 3 | 3 | 0 | 8:5 | 12 |
| სლავია | 7 | 3 | 2 | 2 | 9:6 | 11 |
| სინოტი | 7 | 3 | 2 | 2 | 5:4 | 11 |
| ზლინი | 7 | 2 | 2 | 3 | 4:7 | 8 |
| ოპავა | 7 | 2 | 1 | 4 | 10:13 | 7 |
| დრნოვიცე | 7 | 2 | 0 | 5 | 7:9 | 6 |
| იაბლონეცი | 7 | 1 | 3 | 3 | 5:9 | 6 |
| ბუდეიოვიცე | 7 | 1 | 2 | 4 | 5:9 | 5 |
| ბოლესლავი | 7 | 1 | 2 | 4 | 3:9 | 5 |
| პრჟიბრამი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:12 | 5 |
| ბლშანი | 7 | 1 | 1 | 5 | 3:9 | 4 |

### ფინეთი
ვეიკაუსლიგა. XXV ტური

ტამპერე — პიკ 1:4; ტპ 47 — იარო 0:4; ალიანსი — ჯაზი 3:1; ლაჰტი — როვანიემი 2:1; ინტერი — ჰამენლინა 1:0; კტპ — ჰაკა 0:1; მიუპა — ტურკუ 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 25 | 18 | 5 | 2 | 52:17 | 59 |
| ალიანსი | 25 | 13 | 6 | 6 | 33:26 | 45 |
| ტამპერე | 25 | 13 | 5 | 7 | 37:23 | 44 |
| ინტერი | 25 | 13 | 4 | 8 | 41:33 | 43 |
| ტურკუ | 25 | 12 | 5 | 8 | 34:29 | 41 |
| ლაჰტი | 25 | 9 | 10 | 6 | 35:31 | 37 |
| ჰიკ | 25 | 8 | 12 | 5 | 40:30 | 36 |
| მიუპა | 25 | 9 | 8 | 8 | 32:29 | 35 |
| კტპ | 25 | 8 | 7 | 10 | 28:28 | 31 |
| ტპ 47 | 25 | 8 | 4 | 13 | 34:43 | 28 |
| იარო | 25 | 8 | 3 | 14 | 30:42 | 27 |
| როვანიემი | 25 | 7 | 4 | 14 | 27:43 | 25 |
| ჯაზი | 25 | 4 | 6 | 15 | 28:53 | 18 |
| ჰამენლინა | 25 | 2 | 7 | 16 | 27:51 | 13 |

### საბერძნეთი
ეროვნული ლიგა. II ტური

არისი — ოლიმპიაკოსი 0:1; ირაკლისი — ხალკიდონა 1:0; პანათინაიკოსი — ქსანთი 3:1; იონიკოსი — აპოლონი 2:0; კალითეა — ერგოტელისი 3:0; ოფი — ეგალეო 0:1; პანიონიოსი — პაოკ 2:0; აეკ — კერკერა 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ოლიმპიაკოსი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ირაკლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| აეკ | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ეგალეო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| კალითეა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| პანიონიოსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ქსანთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ხალკიდონა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| იონიკოსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| აპოლონი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| პაოკ | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ოფი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| არისი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| კერკერა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| ერგოტელისი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

### დანია
სუპერლიგა. IX ტური

ჰერფიოლგე — ბრონდბიუ 1:4; ორჰუსი — მიდტიულანდი 3:1; ოდენსე — ოლბორგი 1:3; რანდერსი — სილკებორგი 4:3; ვიბორგი — ესბიერგი 2:0; ნორდსიელანდი — კოპენჰაგენი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 9 | 5 | 3 | 1 | 14:6 | 18 |
| ოდენსე | 9 | 5 | 1 | 3 | 20:13 | 16 |
| მიდტიულანდი | 9 | 5 | 1 | 3 | 13:13 | 16 |
| ორჰუსი | 9 | 4 | 2 | 3 | 15:10 | 14 |
| ვიბორგი | 9 | 4 | 2 | 3 | 10:9 | 14 |
| კოპენჰაგენი | 9 | 3 | 4 | 2 | 15:15 | 13 |
| ნორდსიელანდი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:14 | 11 |
| ესბიერგი | 8 | 3 | 1 | 4 | 17:14 | 10 |
| ოლბორგი | 9 | 3 | 1 | 5 | 14:12 | 10 |
| სილკებორგი | 9 | 3 | 1 | 5 | 17:19 | 10 |
| ჰერფიოლგე | 9 | 3 | 1 | 5 | 10:19 | 10 |
| რანდერსი | 8 | 2 | 1 | 5 | 7:18 | 7 |

### თურქეთი
სუპერლიგა. VII ტური

გენჩლერი — ფენერბაჰჩე 1:2; სებათი — რიზე 0:0; ბეშიქთაში — ანკარა 2:3; ქაისერი — სამსუნი 1:4; საქარია — ტრაბზონი 1:3; გაზიანთეფი — დიარბაქირი 1:1; დენიზლი — ანკარაგიუჯიუ 2:0; გალათასარაი — ისთანბული 4:1; მალათია — კონია 5:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრაბზონი | 7 | 6 | 1 | 0 | 18:5 | 19 |
| ფენერბაჰჩე | 7 | 6 | 1 | 0 | 18:6 | 19 |
| გალათასარაი | 7 | 5 | 1 | 1 | 14:6 | 16 |
| დენიზლი | 7 | 5 | 0 | 2 | 12:8 | 15 |
| გაზიანთეფი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:7 | 14 |
| მალათია | 7 | 4 | 1 | 2 | 16:10 | 13 |
| რიზე | 7 | 3 | 3 | 1 | 9:4 | 12 |
| ანკარა | 7 | 3 | 2 | 2 | 13:12 | 11 |
| ანკარაგიუჯიუ | 7 | 2 | 3 | 2 | 5:6 | 9 |
| სამსუნი | 7 | 2 | 2 | 3 | 10:11 | 8 |
| გენჩლერი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:8 | 8 |
| კონია | 7 | 1 | 4 | 2 | 9:15 | 7 |
| ბეშიქთაში | 7 | 1 | 3 | 3 | 12:13 | 6 |
| დიარბაქირი | 7 | 1 | 3 | 3 | 7:10 | 6 |
| სებათი | 7 | 0 | 3 | 4 | 8:17 | 3 |
| ქაისერი | 7 | 0 | 2 | 5 | 5:15 | 2 |
| ისთანბული | 7 | 0 | 2 | 5 | 4:15 | 2 |
| საქარია | 7 | 0 | 1 | 6 | 5:14 | 1 |

### შვეიცარია
სუპერლიგა. X ტური

ქსამაქსი — შაფჰაუზენი 1:0; აარაუ — ბაზელი 1:0; იანგ ბოისი — სენტ გალენი 0:1; სერვეტი — თუნი 3:1; ციურიხი — გრასჰოპერი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თუნი | 10 | 6 | 2 | 2 | 17:7 | 20 |
| ბაზელი | 10 | 5 | 3 | 2 | 23:11 | 18 |
| ქსამაქსი | 10 | 4 | 3 | 3 | 15:14 | 15 |
| აარაუ | 10 | 4 | 2 | 4 | 18:18 | 14 |
| იანგ ბოისი | 10 | 3 | 4 | 3 | 20:17 | 13 |
| გრასჰოპერი | 10 | 2 | 6 | 2 | 9:16 | 12 |
| ციურიხი | 10 | 3 | 2 | 5 | 14:15 | 11 |
| სენტ გალენი | 10 | 2 | 4 | 4 | 14:18 | 10 |
| შაფჰაუზენი | 10 | 2 | 4 | 4 | 12:18 | 10 |
| სერვეტი | 10 | 2 | 4 | 4 | 11:19 | 10 |

### უკრაინა
უმაღლესი ლიგა
VIII ტური

დინამო — მეტალურგი (დ) 1:0; შახტარი — არსენალი 3:0; ჩერნომორეცი — დნიპრო 2:0; ტავრია — მეტალისტი 1:0; ზაკარპატია — მეტალურგი (ზ) 0:1; ილიჩევეცი — ვორსკლა 2:0; ვოლინი — ბორისფენი 0:0; კრივბასი — ობოლონი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 8 | 8 | 0 | 0 | 19:2 | 24 |
| დინამო | 8 | 6 | 1 | 1 | 13:6 | 19 |
| მეტალურგი (დ) | 8 | 5 | 1 | 2 | 13:9 | 16 |
| ვოლინი | 8 | 4 | 1 | 3 | 8:8 | 13 |
| ილიჩევეცი | 7 | 3 | 2 | 2 | 12:8 | 11 |
| მეტალისტი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:12 | 11 |
| ჩერნომორეცი | 8 | 3 | 1 | 4 | 7:7 | 10 |
| დნიპრო | 8 | 3 | 1 | 4 | 9:13 | 10 |
| კრივბასი | 8 | 2 | 4 | 2 | 7:7 | 10 |
| არსენალი | 8 | 2 | 3 | 3 | 5:11 | 9 |
| ზაკარპატია | 7 | 2 | 2 | 3 | 5:6 | 8 |
| მეტალურგი (ზ) | 8 | 1 | 5 | 2 | 5:9 | 8 |
| ობოლონი | 8 | 1 | 4 | 3 | 3:5 | 7 |
| ვორსკლა | 8 | 2 | 0 | 6 | 4:9 | 6 |
| ტავრია | 8 | 1 | 3 | 4 | 5:8 | 6 |
| ბორისფენი | 8 | 0 | 4 | 4 | 4:11 | 4 |

### პოლონეთი
პირველი ლიგა. VII ტური

ამიცა — პოლონია 1:0; ოდრა — ლეხი 3:1; პოგონი — კატოვიცე 4:2; პლოცკი — ლეჩნა 3:0; ზაგლებე — ვისლა 1:7; კრაკოვია — გროცლინი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 7 | 6 | 1 | 0 | 29:3 | 19 |
| გროცლინი | 6 | 5 | 0 | 1 | 12:6 | 15 |
| ლეგია | 6 | 4 | 2 | 0 | 8:4 | 14 |
| ამიცა | 7 | 3 | 3 | 1 | 11:7 | 12 |
| გურნიკი | 6 | 2 | 4 | 0 | 8:2 | 10 |
| კრაკოვია | 7 | 3 | 1 | 3 | 13:10 | 10 |
| ოდრა | 7 | 3 | 0 | 4 | 10:11 | 9 |
| პლოცკი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:10 | 8 |
| ზაგლებე | 7 | 2 | 2 | 3 | 9:17 | 8 |
| პოლონია | 6 | 2 | 1 | 3 | 7:12 | 7 |
| პოგონი | 7 | 2 | 1 | 4 | 11:19 | 7 |
| ლეხი | 7 | 2 | 0 | 5 | 9:16 | 6 |
| კატოვიცე | 7 | 1 | 1 | 5 | 8:15 | 4 |
| ლეჩნა | 7 | 1 | 0 | 6 | 6:18 | 3 |

### ნორვეგია
ტიპელიგა. XXII ტური

რუსენბორგი — სოგნდალი 3:1; ბრანი — ლინი 5:1; ფრედრიკსტადი — ბოდიო გლიმტი 1:0; მოლდე — ოდ გრენლანდი 2:1; ვიკინგი — სტაბეკი 1:0; ლილესტრიომი — ჰამ კამი 0:1; ვოლერენგა — ტრომსიო დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 22 | 12 | 6 | 4 | 46:29 | 42 |
| ვოლერენგა | 21 | 10 | 7 | 4 | 31:19 | 37 |
| ტრომსიო | 21 | 11 | 3 | 7 | 33:25 | 36 |
| ლინი | 22 | 9 | 7 | 6 | 26:24 | 34 |
| ბრანი | 22 | 10 | 3 | 9 | 40:35 | 33 |
| ჰამ კამი | 22 | 9 | 6 | 7 | 30:30 | 33 |
| ლილესტრიომი | 22 | 8 | 7 | 7 | 41:29 | 31 |
| ოდ გრენლანდი | 22 | 8 | 7 | 7 | 38:33 | 31 |
| ვიკინგი | 22 | 6 | 10 | 6 | 24:28 | 28 |
| ბოდიო გლიმტი | 22 | 7 | 4 | 11 | 26:35 | 25 |
| ფრედრიკსტადი | 22 | 7 | 4 | 11 | 34:45 | 25 |
| მოლდე | 22 | 5 | 9 | 8 | 27:34 | 24 |
| სტაბეკი | 22 | 6 | 5 | 11 | 21:32 | 23 |
| სოგნდალი | 22 | 3 | 6 | 13 | 32:51 | 15 |

### შვედეთი
ალსვენსკა. XXII ტური

იურგორდენი — ტრელებორგი 5:0; ჰალმსტადი — იორებრო 5:0; იორგრიტე — ელფსბორგი 0:2; მალმიო — ჰამარბი 4:3. ჰელსინგბორგი — ლანდსკრონა, გიოტებორგი — კალმარი და სუნდსვალი — აიკ დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 22 | 13 | 7 | 2 | 41:18 | 46 |
| ჰალმსტადი | 22 | 12 | 6 | 4 | 48:24 | 42 |
| გიოტებორგი | 21 | 12 | 4 | 5 | 27:15 | 40 |
| კალმარი | 21 | 8 | 10 | 3 | 23:15 | 34 |
| იურგორდენი | 22 | 8 | 8 | 6 | 32:27 | 32 |
| ჰამარბი | 22 | 9 | 5 | 8 | 26:24 | 32 |
| ელფსბორგი | 22 | 8 | 7 | 7 | 22:26 | 31 |
| ჰელსინგბორგი | 21 | 6 | 8 | 7 | 37:27 | 26 |
| სუნდსვალი | 21 | 6 | 7 | 8 | 22:25 | 25 |
| იორგრიტე | 22 | 5 | 8 | 9 | 19:28 | 23 |
| იორებრო | 22 | 5 | 6 | 11 | 24:44 | 21 |
| ლანდსკრონა | 21 | 4 | 8 | 9 | 21:31 | 20 |
| აიკ | 21 | 4 | 8 | 9 | 17:27 | 20 |
| ტრელებორგი | 22 | 2 | 6 | 14 | 16:44 | 12 |



# მერაბ ემირიძე წავიდა, რათა მოიტანოს

## კალათბურთში მთავარია ფული, მაშინ, როცა მთავარი არაა

ხუთწლიან არსებობაში ბათუმის „ბასკომ“ ოთხჯერ რომ იჩემპიონა, ამაში ლომის წილი მერაბ ემირიძეს უდევს. ემირიძე ზღვისპირეთა კლუბში ჯერ ვიცე-პრეზიდენტი იყო და შემდეგ პრეზიდენტი, ხოლო გუშინ ხანგრძლივი ჭოჭმანის შემდეგ კალათბურთიდან წასვლა გადაწყვიტა. ეს „ბასკოს“ დაშლის ბრალი არ არის — ემირიძეს დღესაც სთავაზობენ საკმაოდ სოლიდურ თბილისურ კლუბში პრეზიდენტის სავარძელს. მაგრამ ემირიძე, როგორც თავად ამბობს, დაიღალა კალათბურთით, დასვენება უნდა და თუ პირადი ბიზნესი კარგად აეწყო, საყვარელ სპორტს ძველი ენერგიითა და ახალი ფინანსებით დაუბრუნდება. მთელ ამ ამბავსაც შეგვიძლია, ასეთი ლოზუნგი დავურთოთ — „ემირიძე მიდის, რათა ისევ დაბრუნდეს!“

— კალათბურთი ჩემი ჰობი იყო ყოველთვის, მაგრამ ბოლო წლებში ის ჩემს პროფესიად იქცა. თავიდან ბოლომდე კალათბურთში ვიყავი გადაშვებული და ძალიან მომწონდა ჩემი საქმიანობა, მაგრამ დღეს გადავწყვიტე, წავიდე. მე აღარანაირი შეხება არ მექნება კალათბურთთან, ჩემს პირად საქმეს ვკიდებ ხელს.

— თქვენი ეს ნაბიჯი იმით ხომ არაა განპირობებული, რომ ბათუმის „ბასკო“, რომელსაც დაარსების დღიდან პატრონობით, დღეს აღარ არსებობს?

— არა, ეგ არაფერ შუაშია. საქართველოს საკლუბო კალათბურთში ჩემთვის ადგილი დღესაც გამოინახება, მაგრამ წასვლა ვარჩიე.

— კონკრეტულად ვინმემ შემოგთავაზათ სამსახური?

— დიახ, მაგრამ კლუბის სახელს ვერ დავასახელებ. ორი კვირის წინ საკმაოდ წელგამართულმა გუნდმა შემომთავაზა სამსახური, მაგრამ უარი ვთქვი.

— ეგებ, ვერანაირი პერსპექტივა ვერ დაინახეთ ბათუმში და საერთოდ, საქართველოში და იმიტომ მიდიხართ კალათბურთიდან?

— პირდაპირ გეტყვით, დავიღალე, დასვენება მინდა. ოჯახს და საკუთარ ბიზნესს მივხედავ. პერსპექტივას რაც შეეხება, საქართველოში კალათბურთი არასდროს იქნება უიმედოდ, რადგან აქ ხალხს ძალიან უყვარს იგი და, მადლობა ღმერთს, ნიჭიერი თაობაც არასდროს გვაკლია.

— „ბასკო“ რომ არ დაშლილიყო და აჭარის ახალ ხელისუფლებას საშუალო გუნდის გასაკეთებელი თანხა მაინც გაეყო, წახვიდოდით კალათბურთიდან?

— „ბასკო“ დაარსების დღიდან პირველობისთვის იბრძოდა და ძირითადად აღწევდა კიდეც მიზანს. მე ასეთ მუშაობას ვარ შეჩვეული, ყოველთვის მაქსიმუმისთვის ვიბრძვი და თუ მხოლოდ მონაწილეობისთვის შერჩებოდა „ბასკო“ ჩემპიონატს და არავითარი ამბიცია არ ექნებოდა, ჯობდა მისი შესანახი ფული ბავშვთა ჯგუფებზე დახარჯულიყო. გთხოვთ, ცუდად არ გამიგოთ, ასეთი იყო ჩემი მუშაობის სპეციფიკა — მუდამ პირველობისკენ სწრაფვა, საუკეთესო მოთამაშეების, მწვრთნელების ძიება... უამბიციობას მერჩივნა, ის ფული ისევ პატარებში ჩამედო და ხვალ, როცა ახალგაზრდები დაოსტატდებოდნენ, საჩემპიონო გუნდი გამეკეთებინა.

— ესე იგი, თქვენი მიზანი ჩემპიონობაა და სუსტ გუნდში ვერ იმუშავებდით...

— ჩემი მიზანი ბათუმში, თბილისში, ქუთაისში და მთლიანად საქართველოში კალათბურთის აღორძინებაა და სანამ ფინანსური მხარდაჭერა ჰქონდა, „ბასკო“ საამისოდ ყველაფერს აკეთებდა. მაშინ არ იყო ეს ამბავი გახმაურებული: „ბასკოს“ ბავშვთა ჯგუფები ჰყავდა ქუთაისსა და თბილისში. იმაში ცუდი არაფერი იყო, რომ ჩვენ ხელფასს ვუხდიდით ქუთაისში მალხაზ კოხრეიძეს და თბილისში გივი ჩიჩილაძეს, რომლებიც ბავშვთა საკალათბურთო ჯგუფებს ავარჯიშებდნენ. აღარაფერს ვლაპარაკობ ბათუმზე, სადაც ყოფილ „ბასკოს“ სპორტსკოლაში ყველა ასაკობრივ ჯგუფში სულ 350 ბავშვი ვარჯიშობს.

— „ბასკოსთან“ ერთად ეს საკალათბურთო სკოლაც ხომ არ დაიშლება? იყო ლაპარაკი, საკალათბურთო დარბაზი აჭარის განათლების სამინისტროს ეკუთვნისო...

— დარბაზი ჩამოართვეს კლუბ „ბასკოს“, რომელიც დღეს დაშლილია, მაგრამ რა დააშავეს ახალგაზრდულმა გუნდებმა? დარბაზი ეკუთვნის აჭარის კალათბურთის ფედერაციას, რომლის პრეზიდენტიც გია კუპრეიშვილის დაპატიმრების შემდეგ მე გახლდით. ბათუმში დარჩება საკალათბურთო სკოლა და, დარწმუნებული ვარ, იქ გაიზრდებიან ნაკრების მომავალი წევრები. „ბასკოს“ მწვრთნელებმა — ზურაბ ტომარაძემ, პაველ გოოგემ, ნუგზარ კანდელაკმა, მიშა კობეშავიძემ, დავით რიბაშვილმა ბევრი რამ ასწავლეს ადგილობრივ ახალგაზრდა მწვრთნელებს და ისინი ბათუმში კალათბურს არასდროს მოკლავენ. მერაბ ბარამიძე, რამაზ მესხიძე, თემურ კახიძე, მიშა ოჩხრიკიძე, აჩიკო კილაძე — ეს და კიდევ არაერთი ახალგაზრდა მწვრთნელი ჯერჯერობით სრულიად უანგაროდ მუშაობს ბათუმში, რამაც არ შეიძლება, შედეგი არ გამოიღოს.

— თქვენ რას აპირებთ?

— თბილისში გადმოვალ, სადაც ჩემი ოჯახი ცხოვრობს. პირად ბიზნესს მივხედავ და თუ წარმატებით წამივა საქმე, ისევ დავბრუნდები კალათბურთში.

— და თუ დაბრუნდით, გუნდს ბათუმში გააკეთებთ თუ თბილისში?

— ჩემი მიზანი არაა კონკრეტულად ერთი კლუბის შექმნა — თუ საკმარისი ფული მექნება, ახალ საკალათბურთო სკოლებს გავხსნი ბათუმშიც და თბილისშიც.

— რაკი წახვედით, გაიხსენეთ ის დადებითი და უარყოფითი ემოციები, რაც „ბასკოში“ მუშაობის პერიოდში განგიცდიათ...

— „ბასკოში“ მუშაობა ჩემთვის დიდი სიამოვნება იყო და ცუდი არაფერი მახსენდება. მახსენდება კი არა, ასეთი არაფერი შემორჩენია ჩემს მეხსიერებას. კარგი კი უამრავი მახსენდება, არც ვიცი, რომელი გამოვარჩიე.

— მაინც?

— ყველაზე მეტად კმაყოფილი ვარ იმით, რომ ამ ხნის განმავლობაში დავუახლოვდი იმ ხალხს, რომლებსაც ადრე მხოლოდ ვიცნობდი. მე თავად ვიყავი კალათბურთელი, საქართველოს 1964-წლიანთა ნაკრებში მითამაშია და ქვეყნის ჩემპიონიც შვიდჯერ გავმხდარვარ. ჰოდა, თითქმს ყველას ვიცნობდი საკალათბურთო სფეროში, ხოლო „ბასკოში“ მუშაობამ ამ ხალხთან დამაბრუნა და დამაახლოვა. ვფიქრობ, ესაა ყველაზე მთავარი.

— „ბასკოს“ გამარჯვებები?

— ყველა ჩემპიონობა გუშინდელი დღესავით მახსოვს და ვერც ერთს გამოვარჩევ. თუმც ბოლო გამარჯვება მართლაც შთამბეჭდავი იყო და არასდროს დამავიწყდება.

-- „ბასკო“ ბოლოს ფაქტობრივად დაშლილი გუნდით გახდა ჩემპიონი და ალბათ არ ელოდით ასეთ წარმატებას...

— გუნდი ფინანსურად იყო დაშლილი, თორემ, ასეთი შეკრული ალბათ პაველ გოოგეს დროსაც არ ყოფილა. ამ გამარჯვების შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდი იმაში, რომ სპორტში პირველ რიგში ჭკუაა საჭირო და მერე ფული.

— თქვენ იყავით ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართული კლუბის ხელმძღვანელი, რას იტყვით, რა არის საჭირო კარგი გუნდის შესაქმნელად?

— პირველ რიგში, უნდა გესმოდეს კალათბურთი მთელი თავისი შავბნელი კუთხეებით. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მწვრთნელის შერჩევას. თუ ამაში შეცდი, მერე როგორი მონდომებულიც გინდა იყო და რამდენი ფულიც უნდა დაახარჯო კლუბს, ვერაფერს გამოასწორებ. არც ერთმა მწვრთნელმა არ გაგვიცრუა იმედი, ყველამ გაამართლა და „ბასკოც“ სულ გამარჯვებული გამოდიოდა. ჩვენ გაგვიმართლა ასევე თითქმის ყველა კალათბურთელში, უფრო მეტად კი ლეგიონერებში. რომელ უცხოელსაც „ბასკოში“ უთამაშია, ყველა გადასარევი პიროვნება და სპორტსმენი იყო.

— ვინ იყო „ბასკოს“ ყველა დროის საუკეთესო მოთამაშე?

— ლეგიონერთაგან ჯეფრი როჯერსი, ისე კი ვახტანგ ნაცვლიშვილი.

— რა არის კალათბურთის ასაღორძინებლად მთავარი?

— საქართველოში კალათბურთმა რომ ევროპულ დონეს მიაღწიოს, ბევრი რამაა საჭირო. ყველაფერი ერთმანეთს ჯაჭვივით ებმის. უშუალოდ დონე რომ ამაღლდეს, აუცილებელია სათანადო ბაზა: საჭირო, დარბაზები, სატრენაჟოროები, საშხაპეები, და ასე შემდეგ. ეს რომ გაქვს, მცოდნე მწვრთნელია საჭირო და არ გეყოლება, თუ ფული არ არის.

— გამოდის რომ, მაინც ფულია მთავარი...

— უხეშად თუ ვიტყვით, ეგრეა, მაგრამ ისე უნდა გააკეთოს მთავრობამ, რომ კალათბურთში ჩადებული ფული წყალში არ გადაიყაროს. სათანადო კანონია საჭირო, რომელიც იმ ბიზნესმენებს, რომლებიც სპორტში და კონკრეტულად კალათბურთში ჩადებენ ფულს, შეღავათებს მიანიჭებს. ამ გზას დაადგა ახლა აზერბაიჯანი და ირანი, ხოლო თურქეთმა ეს პერიოდი უკვე კარგა ხანია, გამოიარა. 15 წლის წინ თურქების კალათბურთზე მთელი ევროპა იცინოდა, ახლა კი... ადგა მთავრობა და კალათბურთელთა ხელფასებზე სახელმფიწო ბეგარა გააუქმა. იქით იმ ბაზებსა თუ დარბაზებზე გააუქმა ყველანაირი გადასახადი, რომლებსაც კალათბურთისთვის აშენებდნენ. უამრავი ბიზნესმენი გამოჩნდა, რომელმაც კალათბურთში ჩადო ფული და ამით თვითონაც იხეირა და სპორტის ეს სახეობაც ააღორძინა თურქეთში. მართალია, ორი წლის წინ ეს საშეღავათო კანონები გაუქმდა, მაგრამ დონე დარჩა — თურქეთი ერთ-ერთი მოწინავეა ევროპაში.

— საქართველოში რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ასეთი კანონების შემოღება?

— რევოლუცია ახალი მომხდარია და ქვეყანა რომ დალაგდება, პოლიტიკოსები სპორტსაც მიხედავენ აუცილებლად. კალათბურთი საქართველოში ლამის ფეხბურთივით უყვართ და არავინ დაუშვებს, დაძაბუნდეს.

**ირაკლი პერტაია**

# კვარაცხელიამ დესანტი ფლორიდაშიც გადასხა

ახალგაზრდა ქართველთა „იმპორტიორმა“ ვაჟა კვარაცხელიამ მორიგი დესანტი გადასხა საზღვარგარეთ. თუ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის მწვრთნელი აქამდე მხოლოდ ბებერ კონტინენტზე „მუშაობდა“, ახლა ახალი მიწებიც დაიპყრო და მისმა აღზრდილებმა ამერიკის კონტინენტზეც დადგეს ფეხი.

სსუ-ს გამთამაშებელი ლაშა ფარღალავა და სოხუმელთა ახალგაზრდული გუნდის წევრი გიგა კობახიძე კვარაცხელიამ ფლორიდის საავიაციო კოლეჯში მიავლინა, სადაც ეს ბიჭები მფრინავი ობიექტებისადმი სიყვარულის გამო კი არ მიიღეს, არამედ ბურთის ჩაუქად დევნისთვის.

ფარღალავა საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი უსუსტესი გუნდის გამთამაშებელი კი გახლდათ, მაგრამ ნიჭი რომ არ აკლდა, იმიტომაც განიზრახა თავის დროზე ნუგზარ კანდელაკმა მისი „ბასკოში“ წაყვანა. თუმც კვარაცხელიამ არ დაანება, ამ ბიჭს უცხოური კლუბისთვის ვამზადებ და „ბასკოში“ ვერ გამოვუშვებო. აასრულა კიდეც სიტყვა სსუ-ს მწვრთნელმა — ფარღალავა უკვე ოკეანგაღმა დასდევს ბურთს და ამერიკის კოლეჯთა ჩემპიონატშიც მიიღებს მონაწილეობას თანამემამულე გიგა კობახიძესთან ერთად.

კვარაცხელიას დაზრდილები ტენერიფეზეც არიან: სსუ-ელი ირაკლი ჯგერენაია და ლევან ფაცაცია ქალაქ აროეს გუნდში თამაშობენ და თუ ფეხა გამოიღეს, ამ კუნძულელ „სანტა კრუზშიც“ აინაცვლონ, რომელიც ესპანეთის პრიმერა დივიზიონში თამაშობს.

**ირაკლი პერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფერარი აბსოლუტ!

## რუბენს-მეორე მეორედ

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ჩინელებს საფორმულო რბოლის ჩატარების სურვილი კარგა ხანია გაუჩნდათ. ხუთიოდე წლის წინ ტრასაც უკვე მზად ჰქონდათ, მაგრამ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ (FIA) ინფრასტრუქტურა დაუწუნა, საქმე მარტო ტრეკ-ტრიბუნების მოწყობა ხომ არაა.

მეორე ცდა უკეთესი და რაც მთავარია, რეალური გამოდგა. „სამეფო რბოლების" გამგებელ ბერნი ეკლსტოუნისგან როგორც კი მიიღეს წინასწარი დასტური 2002 წლის ოქტომბერში, ქვეყნის საქმიან დედაქალაქ შანხაის მახლობლად ჭაობიან ტაფობზე გრანდიოზული მშენებლობა გააჩაღეს და წელიწადნახევარში ფანტასტიკური ავტოდრომიც წამოიჭიმა. 5,451 კილომეტრი სიგრძის უფართოესი და უხიფათო წრე, სადაც გასწრებისთვის არაერთი ხელსაყრელი ადგილია, კონფიგურაციით მიმსგავსებულია სიტყვა შანხაის პირველ იეროგლიფ „შან"-თან, რაც ნიშნავს — მაღლა. ტრასა ისეა დაპროექტებული, რომ მაყურებლებს თავიანთი ადგილებიდან რაც შეიძლება მეტი ფართობის დანახვის საშუალება ჰქონდეთ.

ერთი სიტყვით, მსგავსი ნაგებობა არსად გვინახავსო, პირი დაალეს ბოსებმაც და პილოტებმაც.

ბერნი ეკლსტოუნი, FIA-ს ვიცეპრეზიდენტი: „ეს ტრასა — „სამეფო რბოლების" ფლაგმანია, მისაბაძი მაგალითი, რომლის ჯობნაც ძალიან, ძალიან ძნელი იქნება."

ჯენსონ ბატონის აზრით შანხაის ავტოდრომი იმდენად თავისებური და გამორჩეულია, რომ მისი სხვასთან შედარება არ შეიძლება. მრბოლებს განსაკუთრებით მოეწონათ სტარტის შემდგომი ჩახვეული, ნელი და ტექნიკურად ურთულესი მოსახვევი.

მიხაელ შუმახერი: „საუკეთესო ტრასაა იმათ შორის, სადაც კი მირბოლია. ის ძალიან მომთხოვნია და სირთულეებთან მანქანის შესაგუებლად წვალება მოგვიწევს. აქ ძალიან იოლია შეცდომის დაშვება, თუმც არის ადგილებიც, სადაც შესაძლებელია ამ შეცდომების კომპენსაცია."

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს ეს სიტყვები კვალიფიკაციაშიც და რბოლაშიც წინ დახვდა. ვფიქრობთ, ასეთი უხეირო ეტაპი მას არასდროს ჰქონია. მიხაელს პრობლემები პარასკევს, თავისუფალი პრაქტიკისას დაეწყო და სამივე დღე თან სდევდა.



REUTERS შანხაიდან

ჩინეთში მოგებამ ლუკა დი მონტეძემოლო რუბენს ბარიკელოზე ნაკლებად როდი გაახარა

მილიარდნახევრიან ბუზბერაზ ქვეყანას 200 000-იანი ტრიბუნების შევსება როგორ გაუჭირდებოდა. შაბათს საპოულე ბრძოლის დროსაც ტრიბუნები გადაჭედილი იყო. თუმც ორი საათის განმავლობაში პილოტების ეულად, ერთი წრით გაქრიოლებაზე ბრძოლა ნაკლებად ითქმის. პირველი ჩინური კვალიფიკაცია ფერარელმა რუბენს ბარიკელომ მოიგო. მისი ცდა უნაკლო არ ყოფილა — ორჯერ ოდნავ შეუცბორტმანდა მანქანა, მაგრამ მაინც ბევრი, საკმაო მეათედი წამით აჯობა პირველ სასტარტო რიგში მის გვერდით მოკალათებულ კიმი რაიკონენს. მიხაელს თავიდანვე შეეშალა და პირველ მოსახვევში მანქანა ტრასიდან გადაუსრიალდა, უდროოდ დარჩა და გუშინ რბოლის დაწყება ბოლო, მეოცე პოზიციიდან მოუხდა. მაინც იმედით იყო და პოდიუმზე შედგომასაც ვარაუდობდა, მაგრამ...

ქარავანი გასახურებელ წრეზე წავიდა, „წითელი ბარონის" სისხლისფერი ბედაური კი მორიგი პრობლემის გამო ბოქსების წინ ბორბლებმოხსნილი იდგა.

ჩემპიონი გზას ორი წრის დაგვიანებით გაუდგა და ცხადია, ცდა არ დაუკლია მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ ერთ-ერთ მოსახვევში შეცდომის გამო მოხრეშილ დამცავ ზონაში შეისეირნა, ხოლო ფინიშამდე 21 წრით ადრე მის ბოლიდს უკანა მარცხენა საბურავი გაუსკდა, ბედად, ბოქსების სიახლოვეს. ამდენი დავიდარაბის მიუხედავად, მიხაელი თანასკუდერიელ გამარჯვებულს მხოლოდ ერთი წრით, წუთნახევრით ჩამორჩა...

ბარიკელომ ბრწყინვალედ წარმართა საათნახევრიანი რბოლა, მხოლოდ ბოქსებში სტუმრობისას დროებით დათმო მეწინავეობა, მისხალი შეცდომაც არ მოსვლია და დუბლით, პოულ-მოგებიან ტრიუმფთან ერთად უკვე მეორედ, დამსახურებულად გახდა ვიცეჩემპიონი. პირველი ჩინური დიდი პრიზი მეცხრეა 32 წლის ბრაზილიელის 12-სეზონიან კარიერაში. ფინიშის შემდეგ მსოფლიოში მეორე მძღოლს ისე ჩაეკონა მეუღლე სილვანა, „ფერარის" პრეზიდენტმა ლუკა დი მონტეძემოლომ ძლივს დააშორა. სინიორ ლუკა რუბინიოს პოდიუმზეც აჰყვა გუნდური თასის მისაღებად, რაც უიშვიათესი ამბავია და საერთოდაც, 57 წლის პრეზიდენტი ასე ამჩატებული არასოდეს გვინახავს, თითქოს სწორედ გუშინ, შანხაიში გაენაღდებინოს „ფერარის" ჩემპიონობა. „წითლებმა" წლეულს აბსოლუტურად ყველაფერი მოიგეს — კონსტრუქტორთა, ანუ გუნდური თასიც და პირად ჩათვლაში ოქრო-ვერცხლიც მათი საკუთრებაა.

შანხაის ტრასა ბედნიერი გახდა BAR-ის პილოტ ჯენსონ ბატონისთვის. 24 წლის ბრიტანელი პირველად გავიდა საერთო ჩათვლაში მესამე, „ბრინჯაოს" ადგილზე. ფერნანდო ალონსო მისი დამწევი აღარაა.

ცოტაც სხვაზე: წინა ეტაპთან შედარებით ოცეულში სამი ცვლილება მოხდა. „ჯორდანში" იტალიელი ჯორჯო პანტანო გერმანელმა ტიმო გლოკმა შეცვალა, „რენოში" იტალიელი იარნო ტრული — კანადელმა ჟაკ ვილნევმა, ხოლო „უილიამსს" სამი თვის წინ ნაავარიები რალფ შუმახერი დაუბრუნდა. პატარა შუმის გუშინ ურიგოდ არ უჯირითია — მეხუთე პოზიციაზე მიდიოდა, მაგრამ ბოლომდე ვერ გაძლო, 19 წრეღა რჩებოდა, როცა დევიდ კულჰარდთან შეჯახების შემდეგ რბოლას გამოეთიშა.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

**ჩინეთის დიდი პრიზი**
**26 სექტემბერი. შანხაი**
დისტანცია 56 წრე — 305,256კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | ბარიკელო (ფერარი) | 1:29.12,420 (205,3 კმ/სთ) |
| 2. | (3) | ბატონი (B.A.R) | ჩამორჩა 01,035 |
| 3. | (2) | რაიკონენი (მაკლარენი) | 01,469 |
| 4. | (6) | ალონსო (რენო) | 32,510 |
| 5. | (10) | მონტოია (უილიამსი) | 45,193 |
| 6. | (18) | სატო (B.A.R) | 54,791 |
| 7. | (7) | ფიზიკელა (ზაუბერი) | 1.05,464 |
| 8. | (4) | მასა (ზაუბერი) | 1.20,080 |
| 9. | (9) | კულჰარდი (მაკლარენი) | 1.20,619 |
| 10. | (11) | ვებერი (იაგუარი) | 1 წრით |
| 11. | (12) | ვილნევი (რენო) | 1 წრით |
| 12. | (20) | მ.შუმახერი (ფერარი) | 1 წრით |
| 13. | (14) | ჰაიდფელდი (ჯორდანი) | 1 წრით |
| 14. | (8) | პანი (ტოიოტა) | 1 წრით |
| 15. | (16) | გლოკი (ჯორდანი) | 1 წრით |
| 16. | (19) | ბაუმგარტნერი (მინარდი) | 3 წრით |
| | | **რბოლას გამოეთიშნენ** | |
| | (17) | ბრუნი (მინარდი) | გაიარა 38 წრე |
| | (5) | რ.შუმახერი (უილიამსი) | 37 |
| | (13) | ზონტა (ტოიოტა) | 35 |
| | (15) | კლიენი (იაგუარი) | 11 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
ბარიკელო — 1.34,012 (208,7 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
მ.შუმახერი — 1.32,238 (212,8 კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 7 მარტი | მალაიზია 21 მარტი | ბაჰრეინი 4 აპრილი | სან მარინო 25 აპრილი | ესპანეთი 9 მაისი | მონაკო 23 მაისი | ევროპა 30 მაისი | კანადა 13 ივნისი | აშშ 20 ივნისი | საფრანგეთი 4 ივლისი | დ.ბრიტანეთი 11 ივლისი | გერმანია 25 ივლისი | უნგრეთი 15 აგვისტო | ბელგია 29 აგვისტო | იტალია 12 სექტემბერი | ჩინეთი 26 სექტემბერი | იაპონია 10 ოქტომბერი | ბრაზილია 24 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | – | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 8 | 8 | – | | | 136 |
| 2 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 8 | 5 | 8 | 3 | 8 | 6 | 8 | 8 | 8 | 6 | 6 | – | 8 | 6 | 10 | 10 | | | 108 |
| 3 ბატონი B.A.R., დ. ბრიტანეთი | 3 | 6 | 6 | 8 | 1 | 8 | 6 | 6 | – | 4 | 5 | 8 | 4 | – | 6 | 8 | | | 79 |
| 4 ალონსო რენო, ესპანეთი | 6 | 2 | 3 | 5 | 5 | – | 4 | – | – | 8 | – | 6 | 6 | – | – | 5 | | | 50 |
| 5 ტრული რენო, იტალია | 2 | 4 | 5 | 4 | 6 | 10 | 5 | – | 5 | 5 | – | – | – | – | – | – | | | 46 |
| 6 მონტოია უილიამსი, კოლუმბია | 4 | 8 | – | 6 | – | 5 | 1 | – | – | 1 | 4 | 4 | 5 | – | 4 | 4 | | | 46 |
| 7 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი | – | – | – | 1 | – | – | – | 4 | 3 | 2 | 8 | – | – | 10 | – | 6 | | | 34 |
| 8 სატო B.A.R., იაპონია | – | – | 4 | – | 4 | – | – | – | 6 | – | – | 1 | 3 | – | 5 | 3 | | | 26 |
| 9 კულჰარდი მაკლარენი, დ. ბრიტანეთი | 1 | 3 | – | – | – | – | – | 3 | 2 | 3 | 2 | 5 | – | 2 | 3 | – | | | 24 |
| 10 ფიზიკელა ზაუბერი, იტალია | – | – | – | – | 2 | – | 3 | 5 | – | – | 3 | – | 1 | 4 | 1 | 2 | | | 21 |
| რ. შუმახერი — 12, მასა — 11, ვებერი — 7, პანი, პიცონია (უილიამსი) — 6, და მატა (ტოიოტა), კლიენი, ჰაიდფელდი — 3, გლოკი — 2, ბაუმგარტნერი — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 18 | 15 | 18 | 13 | 18 | 6 | 18 | 18 | 18 | 16 | 16 | 10 | 18 | 14 | 18 | 10 | | | 244 |
| 2 B.A.R. | 3 | 6 | 10 | 8 | 5 | 8 | 6 | 6 | 6 | 4 | 5 | 9 | 7 | – | 11 | 11 | | | 105 |
| 3 რენო | 8 | 6 | 8 | 9 | 11 | 10 | 9 | – | 5 | 13 | – | 6 | 6 | – | – | 5 | | | 96 |
| 4 უილიამსი | 9 | 8 | 2 | 8 | 3 | 5 | 1 | – | – | 1 | 4 | 6 | 7 | – | 6 | 4 | | | 64 |
| 5 მაკლარენი | 1 | 3 | – | 1 | – | – | – | 7 | 5 | 5 | 10 | 5 | – | 12 | 3 | 6 | | | 58 |
| ზაუბერი — 32, იაგუარი — 10, ტოიოტა — 9, ჯორდანი — 5, მინარდი — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

## საქართველოს ჩემპიონატი

# ლოკომოტივს შემადგენლობა დაუმოკლდა

IV ტური

აკადემია 20:20 ლელო

აია 22:51 ყოჩები

დათვები 15:7 ლოკომოტივი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემია | 4 | 3 | 1 | 0 | 87:48 | 7 |
| დათვები | 4 | 3 | 0 | 1 | 63:37 | 6 |
| ლელო | 4 | 2 | 1 | 1 | 130:63 | 5 |
| ყოჩები | 4 | 2 | 0 | 2 | 94:79 | 4 |
| ლოკომოტივი | 4 | 1 | 0 | 3 | 26:65 | 2 |
| აია | 4 | 0 | 0 | 4 | 35:143 | 0 |

მიჯრით წაგებული ორი მატჩის შემდეგ „ყოჩებმა“ უსუსტეს „აიას“ ქუთაისში იოლად მოუგეს და ხასიათი გამოიკეთეს, თუმც მალხაზ ჭეიშვილის გუნდს სეზონის წინ ბევრი წამყვანი მორაგბე გამოაკლდა და საეჭვოა, ვიცეჩემპიონმა „ყოჩებმა“ კვლავ საჩემპიონოდ გაიბრძოლონ.

ასეთივე, უფრო სწორად, უარეს დღეშია „ლოკომოტივი“, რომელმაც მეორედ დაბადებულ „დათვებს“ ბათუმში ვერაფერი მოუხერხა. თემურ ბენდიაშვილის სამწყსო მხოლოდ ასათიანის ლელოსა და ხაჩირაშვილის გარდასახვას გამორჩა, ხოლო აქეთ ორი ლელო მიიღო კუნჭულიასა და ალანიასაგან. ლევან მგელაძის ბიჭებიდან თავისი „წილი“ ჯარიმა კახა მაჩიტიძემაც მიითვალა. აშკარაა, რკინიგზელებს დარჩენილ 6 ტურში ძალიან გაუჭირდებათ საპლეიოფო ოთხეულში მოხვედრა.

ტურის ცენტრალური მატჩი კი თბილისის ცენტრიდან ლამის ცხრა მთას იქით, ვარკეთილის მეურნეობის სტადიონზე გაიმართა. „ლელო“ ძალიან ახლოს იყო მოგებასთან, მთელი თამაშის განმავლობაში უგებდა „აკადემიას“, ერთი ხანობა 9 ქულითაც დაწინაურდა, მაგრამ მატჩის მიწურულს ჩემპიონატის ლიდერმა „აკადემიამ“ ფრე გამოჭედა და ჯიქური ქულაც მოიპოვა — 20:20.

**ილია ნანობაშვილი**





# მზის ჩასვლას უნდა შეეგუო

## როი ჯონსი აღარ არსებობს

**ტომით იამაიკელმა** გლენ ჯონსონმა მეცხრე რაუნდში ნოკაუტში ჩააგდო როი ჯონსი და ფედერაციის (იბფ) ქვემძიმე წონის ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა.

ეს არის სამყაროს უდიდეს მოკრივედ შერაცხული ჯონსის კარიერაში მესამე, ზედიზედ კი მეორე მარცხი, ასევე ზედიზედ მეორე ნოკაუტი. 15 მაისს ჯონსმა ანტონიო ტარვერთან წააგო საბჭოს (ვბკ) ქვემძიმე წონის ქამარი, რაც, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ 4 წონის ჩემპიონად ყოფილს კრივობა გაუჭირდა და ეგებ აღარც არასდროს გამოვიდეს რინგზე.

ჯონსის ახლანდელი განადგურება კი მემფისში გაიმართა: როცა ბრძოლა შეწყდა, გაირკვა, რომ ჯონსონი სამივე დამთვლელი მსაჯის ქვითარში უგებდა დიდს. ნოკაუტი და ფართე მარჯვენასა და მოსხეპულ მარცხენას მოჰყვა. ჯონსი მთელს ოთხ წუთს იწვა რინგზე და თვალების გახელა უჭირდა.

ბოლოს, 35 წლის დაცემულ გენიოს მწვრთნელები შეუდგნენ მხრებში და ასე გააცილეს რინგს, რის შემდეგაც საავადმყოფოში გააქანეს.

„მე არ ვამბობ, რომ საუკეთესო ვარ — ტრაბახობდა ჯონსონი ბრძოლის შემდეგ — მე იმათ ვამარცხებ, ვინც საკუთარ თავს საუკეთესოს უწოდებს.“

ჯონსის წასვლის შესახებ მისმა მწვრთნელმა ალტონ მერკენსონმაც ილაპარაკა, ვნახოთ, გასარკვევიაო. ტარვერმა კი, რომელმაც შარშან წააგო ტიტული ჯონსთან, გაზაფხულზე კი ისევ დაიბრუნა, განაცხადა: „არაფერი მოხდება, თუ ის დაისვენებს. სულაც არ გვინდა, რომ როი გაფარჩაკებული ვნახოთ. მზის ჩასვლას უნდა შეეგუო.“

ჯონსონი კი, რომელსაც საკარიერო რეკორდი 41-9-2 აქვს, 28 ნოკაუტით, ახლა სწორედ ტარვესთან ჭიდილს აპირებს. ჯონსს მან პირველი წამებიდანვე მოუწყო წამება: 9 რაუნდის განმავლობაში 437-ჯერ მოიქნია მუშტი, ჯონსმა კი მხლოდ 270-ჯერ. მეშვიდე რაუნდიდან მოსეირნე ჯონსს უსტვენდნენ, და მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებდნენ...

მართლაც მძიმე დასასრულია გენიოსისთვის.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



ვუელტა 2004 4 - 26 სექტემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS

„ვუელტას“ ვარსკვლავები — რობერტო ერასი, სანტიაგო პერესი და ალეხანდრო ვალვერდე

# ესპანეთი ესპანელებს!

## ვინ ართმევთ, რო?

**წლის** მესამე და უკანასკნელი დიდი საგზატკეცილო ველოტური, ესპანური „ვუელტა“ ძველი ჩემპიონის ახალი გამარჯვებით დასრულდა. 30 წლის რობერტო ერასმა 2000 და 2003 წლის შემდეგ მესამედ იჩემპიონა სამშობლოში და შვეიცარიელ რეკორდსმენ ტომი რომინგერს გაუტოლდა, ვისაც 1992-94 წლებში ასევე სამჯერ დაუპყრია ესპანური მთა-ბარი.

გაუჭირდა ერასს. მიუხედავად იმისა, რომ სამკვირიან ველომარათონში მე-12 ეტაპიდან დაწინაურდა და ლიდერობა ბოლომდე შეინარჩუნა, წლევანდელი „ვუელტა“ მაინც საინტერესო გამოვიდა. სახელის მაძიებელი თანამემამულეები ბოლო ეტაპამდე სდევდნენ მომავალ ჩემპიონს. განსაკუთრებით სანტიაგო პერესმა აიძულა, აჩქარებულიყო და ჩემპიონობის მოსაპოვებლად მთელი ძალით დასწოლოდა პედლებს. მე-12 ეტაპზე, როცა ერასი საერთო ჩათვლის თავში მოექცა, პერესი მასთან თითქმის ოთხნახევარ წუთს აგებდა და ძნელად, რომ ვინმეს მის კონკურენტთა სიაში ჩაეწერა. მაგრამ პერესმა სხვებზე მეტი შეძლო, მოიგო მე-14 ეტაპი გრანადაში, მე-15 სიერა ნევადას მთებში და ინტრიგაც გაცოცხლდა.

ბოლო ორი დღე განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა. 20-ე ეტაპი მთებში ბოლო გახლდათ. პერესმა აქ ყველაფერი გააკეთა, ერასთან 1,13 წუთამდე შემცირებული სხვაობისთვის კიდევ რომ მოეკლო ძვირფასი წამები და აკი 30 წამიც ჩამოაჭრა. აქ პერესი მხოლოდ მეოთხე მივიდა ფინიშთან და ეტაპის მომგებ ხოსე ენრიკე გუტიერესს გვარიანად ჩამორჩა, მაგრამ ვილას აინტერესებდა ეტაპი და მის ბოლოს პოდიუმთან დადარაჯებული გოგოცუნების წყვილი კოცნა, როცა ერასამდე და ჩემპიონობამდე 43 წამიღა რჩებოდა.

და ბოლო, 21-ე ეტაპი, რომელიც მადრიდის ქუჩებში გაიმართა: 28,2 კილომეტრი მრბოლებს ცალ-ცალკე, ყოველგვარი დახმარების გარეშე უნდა გაევლოთ. საზოგადოდ მთიელები არცთუ მარჯვედ დაქრიან ინდივიდუალურ ეტაპებზე, რა თქმა უნდა, ერთი-ორი უნივერსალის გამოკლებით— და ამათშია წლეულს ტურ დე ფრანსის ზედიზედ მეექვსედ მომგები ლენს არმსტრონგი. მაგრამ პერესი მიფრინავდა. დისტანცია 48 კმ/სთ საშუალო სიჩქარით, 35 წუთსა და 5 წამში დაფარა და ერასს დაელოდა. ერასი ოდნავ უარესად გამოვიდა, მაგრამ არა იმდენად, რომ საქმე წაეხდინა. მხოლოდ 13 წამი და რობერტო ერასი ჩემპიონია.

„ბოლო, ინდივიდუალურ ეტაპზე ძალზე ვღელავდი — მოგვიანებით აღიარა ჩემპიონმა — მაგრამ ასე სამი კილომეტრით ადრე დავრწმუნდი, რომ გამარჯვება ჯიბეში მქონდა. „ვუელტა“ მანამდეც ხომ მომიგია, მაგრამ ახლა განსაკუთრებით მინდოდა სამშობლოში გამარჯვება, რადგან ყველასთვის დამემტკიცებინა, რომ წლეულს ტურ დე ფრანსზე ჩავარდნა შემთხვევითობის ბრალი იყო.“

პერესს, ცხადია, გული დასწყდა — ასე ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ მერე ვაჟკაცურად მიულოცა ჩემპიონს და თქვა, აქამდე არავინ მიცნობდა და ნუ გგონიათ, „ვუელტაზე“ მეორე ადგილი და სამი ეტაპის მოგება არ დამაკმაყოფილებსო. სამშობლოს გზებზე კიდევ ვიტყვი ჩემსას და ა. შ.

საბოლოოდ პოდიუმის მესამე საფეხურიც ესპანელმა, ფრანსისკო მანსებომ დაიკავა და საერთოდ, საერთო ჩათვლის პირველ ათეულში უცხოტომელისთვის ადგილი ვერ მოიძებნა. არაესპანელთაგან საუკეთესო ძველი, მუშა იტალიელი სტეფანო გარძელი გახლდათ — მან მე-11 ადგილზე დაასრულა. მხოლოდ მე-16 იყო წლეულს ჯირო დიტალიის მომგები ყმაწვილკაცი დამიანო კუნეგო. რას იზამენ ესპანელები, დიდი და სახელიანი ცოტა სტუმრობს მათ ქვეყანას. მით უმეტეს, ტურ დე ფრანსის შემდეგ ყველა გასავათებულია და ესპანეთში წვალებას შინ მოსვენებას არჩევს.

**ქოტე ჯანგავაძე**



REUTERS

ერასმა საჩემპიონო შამპანური მესამედ ააჩქეფა

| XX ეტაპი. 25 სექტემბერი. ლა ვეგა — პუერტო დე ნავასერადა. 178 კმ | |
|---|---|
| 1 ხოსე გუტიერესი (ესპანეთი, ფონაკი) | 4 სთ 52 წთ 20 წმ |
| 4 სანტიაგო პერესი (ესპანეთი, ფონაკი) | +1 წთ 57 წმ |
| 6 რობერტო ერასი (ესპანეთი, ლიბერტი სეგუროსი) | +2 წთ 7 წმ |
| 8 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, ბანესტო) | +2 წთ 10 წმ |
| 10 ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კელმე) | +2 წთ 18 წმ |
| 16 დამიანო კუნეგო (იტალია, საეკო) | +2 წთ 48 წმ |

| XXI ეტაპი. 26 სექტემბერი, მადრიდი. ინდივიდუალური რბოლა. 28 კმ | |
|---|---|
| 1 სანტიაგო პერესი (ესპანეთი, ფონაკი) | 35 წთ 5 წმ |
| 2 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, ბანესტო) | +7 წმ |
| 3 კარლოს სასტრე (ესპანეთი, თიმ CSC) | +8 წმ |
| 4 რობერტო ერასი (ესპანეთი, ლიბერტი სეგუროსი) | +13 წმ |
| 14 ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კელმე) | +1 წთ 17 წმ |
| 18 დამიანო კუნეგო (იტალია, საეკო) | +1 წთ 27 წმ |

| საბოლოო ჩათვლა | |
|---|---|
| 1 რობერტო ერასი (ესპანეთი, ლიბერტი სეგუროსი) | 77 სთ 42 წთ 46 წმ |
| 2 სანტიაგო პერესი (ესპანეთი, ფონაკი) | +30 წმ |
| 3 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, ბანესტო) | +2 წთ 13 წმ |
| 4 ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კელმე) | +3 წთ 30 წმ |
| 5 კარლოს გარსია კესადა (ესპანეთი, კელმე) | +7 წთ 44 წმ |
| 16 დამიანო კუნეგო (იტალია, საეკო) | +29 წთ 51 წმ |

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ჩინ-ჩინ ფორმულა

აჰა, ჩატარდა და ჩაიქროლა პირველმა ჩინურმა საფორმულე დღემ. კარგი, მშვენიერი, საოცარი დღე იყო შანხაის ახლო, ბარე 325 მილიონ დოლარად მოწყობილ წრეზე, რომლის გარშემოც 250 ათასი მოსეირე იჯდა და ჩინეთის დიდი პრიზის გათამაშებას ადევნებდა თვალს. ჩინელი მოდელები და დარჩეული მეფორმულენი ერთმანეთს კოცნიდნენ, მთავარი კოცნა კი ერთი კაცისა იყო — რუბენს ბარიკელომ ისტორია შექმნა ამ დღეს და მისი ცოლის, სილვანას ამბორიც ისტორიას შერჩება. ისტორია ასეთია — 2004 წლის 26 სექტემბერი, ჩინეთის დიდი პრიზი, ფერარი, რუბენს ბარიკელო.











სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge